პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 8 იანვარი, 1949 წ. № 5 (8308). ფასი 20 კაპ.

დღეს მუშაობას შეუდგება თბილისის პარტიული ორგანიზაციის XIX საქალაქო კონფერენცია. მხურვალე ბოლშევიკური სალამი კონფერენციის დელეგატებს — ჩვენი დედაქალაქის საამაყო ადამიანებს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

ლენინ-სტალინის დიადი დროშით

დღეს გაიხსნება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XIX კონფერენცია. თავის კონფერენციაზე დედაქალაქის ბოლშევიკები მოდიან მონოლითური რიგებით, ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, მოდიან ერთი ფიქრითა და ერთი გრძნობით — კვლავაც ძალების დაუზოგავად იბრძოლონ სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ერთი წუთითაც არ შეანელონ ზრუნვა ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად.

რვა წელი და ათი თვე გავიდა XVIII საქალაქო პარტიული კონფერენციიდან. ეს პერიოდი აღსავსეა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით. 1941 წლის ივნისში, როცა ჩვენს ქვეყანას აღაღადებდა ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ათიათასობით თბილისელი გაეშურა ფრონტზე, ხოლო ზურგში დარჩენლმა თბილისელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მთელი თავისი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნეს და თავდადებული შრომით ეხმარებოდნენ საბჭოთა მებრძოლებს მტრის განადგურებაში. ჩვენი დედაქალაქის მშრომელებმა, ბოლშევიკებმა, რომლებსაც მთელი რიგი წლების მანძილზე სტალინური ტრადიციებზე ზრდიდა და აწრთობდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ლავრენტი ბერია, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ფაშისტ ბარბაროსთა განადგურებაში, ომის გამარჯვებით დაგვირგვინებაში.

როცა დიდი სამამულო ომი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, თბილისის მშრომელებმა, ბოლშევიკებმა ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად შემოქმედებითი შრომა გააჩაღეს ახალი სტალინური ხუთწლეديის წარმატებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. დედაქალაქის ბოლშევიკების დიდი ორგანიზატორული მუშაობა თავს იჩენს ყოველი საწარმოს წარმატებით, მეოთხე ხუთწლეديის დავალებათა ვადაძმდე შესრულებით.

გაიზარდა და გაფართოვდა დედაქალაქის მრეწველობა, გამოიზარდნენ საწარმოთა ნიჭიერი ხელმძღვანელები, სტახანოველ ნოვატორთა ახალი კადრები, რომლებიც აუმჯობესებენ და წინ სწევენ ტექნიკას, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აძაღლებენ პროდუქციის ხარისხს, ამცირებენ თვითღირებულებას, წარმატებით წყვეტენ ახალი ვითარებით ნაკარნახევ ამოცანებს. თბილისის მშრომელები ხუთწლეديის ვადაძმდე შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ავანგარდში დგანან. შეჯიბრებაში ფასსაკუთრებით შესანიშნავი მიღწევებია მოპოვებული გასულ წელს. დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს 1948 წელი, სასახელოდ შესრულეს ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობა — სოციალისტურ საშობლოს მისცეს ათეულ მილიონ მანეთობით ზეგეგმიური დაგროვება.

ამხანაგ ბერიას მიერ დანერგილი სტალინური ტრადიციების ერთგულმა დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელობა ამხანაგ კ. ჩარკვიანის მეთაურობით, დიდი მუშაობა გასწიეს საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის, თბილისის სანიმშეო და კეთილმოწყობილ ქალაქად გადაქცევისათვის. თბილისი დამშვენდა შესანიშნავი პარკებით, ხეივნებით, სტალინის სახელობის ულამაზესი სანაპიროთი, მოასფალტებული ქუჩებით. აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, გაუმჯობესდა დედაქალაქის მცხოვრებთა კომუნალური მომსახურება, განვითარდა საქალაქო ტრანსპორტი. ახალი წარმატებებია მოპოვებული სახალხო განათლების, შრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგებში.

საანგარიშო პერიოდში თბილისის პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა რიცხვობრივად და თვისობრივად. პარტიის რიგებში მიღებულია მოწინავე ადამიანები: საწარმოთა სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ინტელიგენციის სახელოვანი წარმომადგენლები, ისინი, რომელთაც საქმით დაამტკიცეს ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება. ორგანიზაციულად და პოლიტიკურად განმტკიცდნენ პარტიული ორგანიზაციები, გაიზარდა მათი როლი და მნიშვნელობა, როგორც მშრომელთა ავანგარდისა და ორგანიზატორისა, უფრო მჭიდრო გახდა მათი კავშირი მასებთან, გაუძღვრებესდა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა საწარმოებისადმი, უფრო ბრძოლისუნარიანი გახდნენ ისინი. სწორედ ამის შედეგია, რომ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილი სახელმწიფო დავალებებს ყოველთვის სასახელოდ ასრულებს. დამახასიათებელია კომუნისტების ავანგარდული როლის შესამჩნევი ზრდა. საწარმოთა მოწინავე ადამიანების, სტახანოვური შრომის ნოვატორების უმრავლესობა დიადი ბოლშევიკური პარტიის წევრები არიან.

ჩვენი პარტიის ძლიერების უშრეტი წყაროა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება, რომელიც კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას უნათებს ჩვენს პარტიას, ჩვენი ქვეყნის მშრომელებს. თბილისის პარტიული ორგანიზაცია დიდ და სერიოზულ მუშაობას ეწევა კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის განუხრელი ამაღლებისათვის. დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამ მუშაობას საფუძვლად უდევს ამხანაგ სტალინის მითითება:

„ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგვარად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი საკმაოდ მომზადებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ექნებათ უნარი გადასჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადაეჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეათედს“.

შესამჩნევად გაძლიერდა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, ზრუნვა კომუნისტების თეორიული შეიარაღებისათვის, მასების კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებისათვის. ათასობით პარტიული და უპარტიო ბოლშევიკი დამოუკიდებლად სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ათასობით კომუნისტი იდეურ დონეს იმაღლებს პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეებსა და პოლიტსკოლებში, პარტიულ სკოლებში, სემინარებში, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში. ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, რომლებსაც აწყობენ პარტიული ორგანიზაციები, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმეს ემსახურებიან.

შესანიშნავი წარმატებებით მოვიდნენ თბილისის ბოლშევიკები თავიანთ კონფერენციაზე, მაგრამ ეს იმის როდი ნიშნავს, რომ დედაქალაქის პარტორგანიზაციათა მუშაობა უნაკლო იყოს. ბოლშევიკები მიღწეულით არასოდეს არ კმაყოფილდებიან. საქალაქო პარტიული კონფერენცია, რომელიც შეაჯამებს საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, განსაზღვრავს დედაქალაქის ბოლშევიკების მომავალ ამოცანებს. კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს თბილისის პარტიულ ორგანიზაციას, უფრო მჭიდროდ დარაზმავს საწარმოების, ტრანსპორტის, მეცნიერებისა და კულტურის ფრონტის მუშაკებს დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის, წინ წასწევს დედაქალაქის მრეწველობას, ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანს იდეოლოგიურ მუშაობას, განავითარებს საქალაქო მეურნეობას, უფრო მშვენიერს და კეთილმოწყობილს გახდის თბილისს, საქართველოს დედაქალაქს, სადაც ჟამტკობისას რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა და გამარჯვებათა მოსაპოვებლად მშრომელს რაზმავდა ხალხთა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

გაუმარჯოს თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციას!

სალამი კონფერენციის დელეგატებს — დედაქალაქის საუკეთესო ადამიანებს!

გაუმარჯოს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს, ვისაც ახალ-ახალ გამარჯვებათა გზით მიჰყავს ჩვენი დიადი სამშობლო!

დღეს, 8 იანვარს, საღამოს 7 საათზე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (მარჯანიშვილის ქუჩა № 8) გაიხსნება

თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენცია

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსადმი თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების გეგმა 25 დეკემბრისათვის დამზადებულია 135.517 ცენტნერი თამბაქო ანუ გეგმის 104,2 პროცენტი. ამ რაოდენობიდან აფხაზეთის კოლმეურნეობებმა ჩაბარეს 65.221 ცენტნერი თამბაქო ანუ გეგმის 116,5 პროცენტი, აჭარის კოლმეურნეობებმა—8.370 ცენტნერი ანუ გეგმის 111,6 პროცენტი, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა—37.080 ცენტნერი ანუ გეგმის 110,7 პროცენტი.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1948 წლის მოსავლიდან წლიური გეგმის გადამეტებით ჩაბარონ სახელმწიფოს 28.000 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის
მდივანი კ. ჩარკვიანი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. ჩხუბიანიშვილი
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში დ. ხანთაძე
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. ალავიძე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ რკინიგზის ტრანსპორტმა 1948 წლის 18 დეკემბერს ვადამდე შეასრულა დატვირთვის წლიური გეგმა.

საბჭოთა კავშირის რკინიგზელები, ამხანაგო სტალინ, ვიბრძოდით რა თქვენს წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, რომ გეგმის გადამეტებით დავტვირთავდით 600 ათას ვაგონს, მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ ეს ვალდებულება შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. წინა წელთან შედარებით დატვირთვა 20 პროცენტით გადიდდა.

გადაჭარბებით არის შესრულებული უმნიშვნელოვანესი ტვირთების — ქვანახშირის, ნავთპროდუქტების, შავი ლითონების, ჯართის, მადნისა და პურის გადაზიდვის გეგმა ტონობით.

თერმეტი თვის განმავლობაში ტვირთზიდვის თვითღირებულება გეგმის გადამეტებით შემცირებულია 3,2 პროცენტით, სათბობის ხარჯი მუშაობის საზომზე შემცირებულია 3,7 პროცენტით.

გზათა მინისტრი ვ. ბეშჩევი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ნავთობის საძებნელ-ექსპლოატაციის სამინისტროს და სათბობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ

ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა და სააღმშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად ქვანახშირის მოპოვების შემდგომი განვითარების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ნავთობის საძებნელ-ექსპლოატაციის სამინისტროს და სათბობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნას ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო.

2. დადგეს ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სათბობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს საწარმოები, მშენებლობანი და ორგანიზაციები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1948 წლის 28 დეკემბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად ამხ. ა. თ. ზასიადკოს დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე თედორეს-ძე **ზასიადკო** ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1948 წლის 28 დეკემბერი.

ლენინის დღეების წინ

ალმა-ატა, 7 იანვარი. (საკუთარი). ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 25 წლისთავისთვის ალმა-ატის პარტიული განათლების სახლში, საჭარხნო კლუბებსა და მუზეუმებში, რაიონულ პარტიულ კაბინეტებში მოეწყო გამოფენები ლიტერატურისა ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი შემქმნელის შესახებ. პარტიის საქალაქო კომიტეტმა გამოჰყო ასზე მეტი პროპაგანდისტი, რომლებიც მშრომელთათვის წაიკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს.

სახალხო სასამართლოების არჩევნების წინასაარჩევნო საოლქო თათბირებზე

ლენინის რაიონის № 10 საარჩევნო ოლქში

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოების არჩევნების მე-10 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო საოლქო თათბირი გახსნა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

თათბირის მონაწილენი მქუხარე ოვაციით სპატიო პრეზიდიუმში აირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს.

კრება შეუდგა დასახელებულ კანდიდატურათა განხილვას.

ტრიბუნაზეა თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. ლუარსაბოვი.

— სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, საორთქლმავლო დეპოს კოლექტივებისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა საერთო კრებებმა სახალხო მოსამართლის კანდიდატად დასახელეს ამბროსი ბესარიონის-ძე გაგუა. იგი მუშაობს ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო მოსამართლედ და დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს. ჩვენი კოლექტივის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ დამავალა ვიშუამდგომლო თქვენს წინაშე მხარი დაუჭიროთ ამხ. ა. გაგუას კანდიდატურას.

ჩვენი ქარხნის კოლექტივის დავალებით,—განაცხადა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს უფროსის მოადგილე ვ. ყოჩიაშვილმა,—მხარს ვუჭერ სახალხო მოსამართლის კანდიდატად ამხ. ა. გაგუას დასახელებას. ქარხნის საამქროების მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებებზე სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად დასახელებული იქნენ მოწინავე ადამიანები, მათ შორის სახელმოხვეჭილი სტახანოველები ლიდა კილაძე, ნინო ლუცენკო, გიორგი დაბრუნდაშვილი, ვასილ ბერიაშვილი და სხვ. წინადადება შემომაქვს მხარი დაუჭიროთ მათს კანდიდატურებს.

საორთქლმავლო დეპოს ამწევი საამქროს უფროსმა ამხ. დ. კვარაცხელიამ დაახასიათა სახალხო მსაჯულების კანდიდატებად წამოყენებული მემანქანეები მ. კიკვილაშვილი, ვ. ნონიაშვილი, უფროსი ინჟინერი ა. ბიძინაშვილი და სხვ.

ვაგონთა 41-ე სკოლის კოლექტივის სახელით ამხ. ობოლაძე ლაპარაკობს სახალხო მსაჯულად წამოყენებულ მასწავლებელ ნ. კაპანაძის თავდადებულ მუშაობაზე.

ექიმმა გ. ანჯაფარიძემ ილაპარაკა სახალხო მსაჯულობის კანდიდატად დასახელებულ თ. კოტტაშვილის პატრიოტულ საქმიანობაზე.

თათბირმა ერთსულოვნად გადაწყვეტა მხარი დაუჭიროს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების დასახელებულ კანდიდატებს და მიიღო მიმართვა მე-10 საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი.

ბერიას რაიონის № 15 საარჩევნო ოლქში

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წითელ დარბაზში წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე შეიკრიბნენ ბერიას რაიონის სახალხო სასამართლოების არჩევნების № 15 საარჩევნო ოლქში შემავალი საწარმოების, დაწესებულებების კოლექტივთა წარმომადგენლები.

წინასაარჩევნო თათბირი გახსნა რაისაბჭოს აღმასკომის რწმუნებულმა ამხ. ლ. ბოჭორიშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ამხ. ცოტაძე, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ამხ. ჯანაშია, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი ამხ. ლოლაძე, სამხატვრო აკადემიიდან ამხ. ბერიძე, მე-13 პოლიკლინიკიდან — ამხ. რუსიაშვილი, რომელთაც დაახასიათეს მათი კოლექტივების მიერ სახალხო მსაჯულების კანდიდატებად დასახელებული ამხანაგები ინჟინერი შ. ხაბაზაშვილი, ექიმი ნინა ცქვეტინიძე-თავართქილაძე, პედაგოგი მარიამ კილაძე, ინჟინერები ნ. ხარტახი და გ. არველაძე, დიასახლისები ლ. ქებაძე, ნ. გვეტაძე და სხვები.

სიტყვა ეძლევა სახალხო მოსამართლის კანდიდატს ამხ. გ. პაჭასაშვილს, რომელიც დამსწრეებს დიდ მადლობას უძღვნის მაღალი ნდობისათვის, რაც მას გამოუცხადეს მისი კანდიდატურის სახალხო მოსამართლედ დასახელებით.

— ძალღონის დაუზოგავად ვიბრძოლებ, რათა გავამართლო ამომრჩეველთა ეს ნდობა.—ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. პაჭასაშვილი.

წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაადგინა მხარი დაუჭიროს მშრომელთა კოლექტივების მიერ დასახელებულ კანდიდატებს.

თათბირმა მიიღო მიმართვა მე-15 საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი.



თბილისი. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ახალი კორპუსი.

ფოტო რ. აკოფოვისა და ვ. გინზბურგისა

პარტიული ცხოვრება

პარტიულ კონფერენციებზე

აბაშა

ორ დღეს მიმდინარეობდა აბაშის რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ებრალიძემ. მან დაწერილებით ილაპარაკა სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულ წარმატებებზე, რაიონის მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

მომხსენებელმა გააშუქა სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისა და კომუნისტების პოლიტიკური განათლების დონის ამაღლების დარგში მიღწეული წარმატებანი და გააკრიტიკა ნაკლოვანებნი.

კონფერენციამ რაიკომის პრაქტიკული მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკური ხაზი—სწორად, აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ს. ებრალიძე, მეორე მდივნად—ამხ. გ. ქოიავა, მდივნად კადრების დარგში—ამხ. პ. გვაზავა.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა ორგანიზატორმა ამხ. გ. ავალიანმა. **(საკ. კორ.).**

კაჭრეთი

შედგა კაჭრეთის რაიონული პარტიული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ა. დავითაშვილმა.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საკითხებზე, ილაპარაკა ნაკლოვანებებზე ამ დარგში, შემდეგ დაახასიათა ის მუშაობა, რასაც რაიონის პარტიული ორგანიზაციები ეწევიან კომუნისტების პოლიტიკური განათლების დარგში.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად, პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად და მიიღო რეზოლუცია.

ახლადარჩეული რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. დავითაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ა. სულავა, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ზ. ნიბლაძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ამხ. ი. ოქროაშვილი. **(საკ. კორ.).**

ასპინძა

ასპინძის მე-5 რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ჯიბლაძე.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რაც რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს საანგარიშო პერიოდში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

შემდეგ მომხსენებელი ვრცლად შეეხო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, კომუნისტთა იდეური დონის ამაღლების საკითხებს.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად და პოლიტიკური ხაზი—სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

ახლადარჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ნ. ჯიბლაძე.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რაც რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს საანგარიშო პერიოდში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამ დარგში მიღწეული წარმატებანი და გააკრიტიკა ნაკლოვანებანი.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა—დამაკმაყოფილებლად.

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ბ. მიხაილაური, მეორე მდივნად — ამხ. ა. ბლურციანი, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ზ. ღარიბიანი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. იმხანოვი. **(საკ. კორ.).**

სწორად ავუნაზღაურთ შრომა კოლმეურნეებს

მოსავლისა და შემოსავლის დროულად და სწორად განაწილება კოლმეურნეებს საშუალებას მისცემს მიიღონ პატიოსანი მუშაობისათვის კუთვნილი ხვედრი. ეს მათ უფრო დაიჯერებენ ეს ძობავალში. ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

როგორ ეშზადებიან მოსავლის განაწილებისთვის გურჯაანის რაიონში?

სოფელ ელისაბეტის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შემინდვრეობის ბრიგადებს მიწის ნაკვეთები მიმაგრებული აქვთ სრული თესლბრუნვის ციკლი, ბრიგადების ყველა რგოლი თანაზომიერად დატვირთეს და აქით რგოლებში ნათესების ზედმეტად დაქუცმაცებას ბოლო მოუღეს. კოლმეურნეობაში ფართოდ იყენებენ ინდივიდუალურ და წვრილ-ჯგუფურ სანარდო სისტემას. შრომადღეებისა და მოსავლის აღრიცხვა წარმოებს თვითეულ ბრიგადაში, როგორი მათთვის მიჩენილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით ცალკეკე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბრიგადებისაგან შესრულებულ სამუშაოს იღებს კვირაში ერთხელ. ამით კოლმეურნეობას საშუალება მიეცა სწორად განახორციელოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილება „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“. გადიდდა კოლმეურნეობის და კოლმეურნეთა შემოსავალი. მარტო შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით კოლმეურნეები მიიღებენ 36 ცენტნერამდე მარცვლეულს და 121 ცენტნერამდე ყურძენს.

მოსავლისა და შემოსავლის განაწილებისათვის ორგანიზებულად ემზადებიან ამავე სოფლის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“. შარშან აქ ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს. 65 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ცენტნერისა, საშუალოდ მოიყვანეს 56,3 ცენტნერი ყურძენი.

ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობაში საგრძნობლად გაუმჯობესეს შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება. კოლმეურნეობის გამგეობა სისტემატურად უწევს კონტროლს შრომადღეების სწორად დარიცხვას. დარიცხული შრომადღეების რაოდენობა შემოსავლის განაწილების წინ შედარებულ იქნა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისთვის გეგმით გათვალისწინებულ შრომადღეების რაოდენობასთან. ასეთი კონტროლის შედეგად გამოაშკარავეს მთელი რიგი დამაზიანებელი შრომადღეების დარიცხვანი. მაგალითად, გასული წლის აგვისტოში მარცვლეულის ლეწვის დროს 14 კოლმეურნეს ნაცვლად 85 შრომადღისა საანგარიშო დარგის მუშაკებმა ლ. სისაურმა და ც. ქორიაშვილმა დაურიცხეს 1.027 შრომადღე. არასწორად დარიცხული შრომადღეები კოლმეურნეობის გამგეობამ ჩამოაწერა იმ კოლმეურნეებს, რომლებსაც უკანონოდ დარიცხათ. საანგარიშო დარგის მუშაკებს ლ. სისაურსა და ც. ქორიაშვილს, რომლებმაც შრომადღეების არასწორი დარიცხვა მოახდინეს, ჩამოეწერა თვითეულს 5 შრომადღე.

ამჟამად კოლმეურნეობაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მოსავალი და შემოსავალი დროულად განაწილონ. უკვე შეჯამებულია კოლმეურნეების მიერ გამომუშავებული შრომადღეები და გაკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ყველა კოლმეურნეობაში როდია ასეთი მდგომარეობა. სოფელ მუკუზნის სანარდო სისტემას, შრომის სანარდო ანაზღაურების მაგიერ ხშირად გამოყენებულია დღიური ანაზღაურება. მაგალითად, მეოთხე ბრიგადაში (ხელძღვანელი ი. ხაჩიული) ვენახში სასუქის შეტანაზე მუშაობდნენ ა. ხაჩიშვილი, თ. ქათამაძე, ა. ფილონიშვილი და სხვები — სულ 7 კაცი. ბრიგადირმა ი. ხაჩიულმა მათ მიერ შესრულებული სამუშაო აღრიცხა არა თვითეული კოლმეურნის მიერ გაწეული შრომის მიხედვით, არამედ შეჯამებულად და თანაბრად გაყო იმ კოლმეურნეებს მთელ რაოდენობაზე, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მუშაობაში. კიდევ მეტი. კოლმეურნეობის აღმრიცხველმა კ. ყიფიანმა ამ კოლმეურნეებს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 1,25 შრომადღისა, თვითეულს დაურიცხა 1,66 შრომადღე. ამავე ბრიგადაში აპრილში ბარდების გაკაფვაზე იმუშავეს ს. ტაბახმელაშვილმა, მ. ქაფიანიძემ, ს. იაკობიშვილმა, თ. ქათამაძემ და ა. ხაჩიშვილმა. მათი მუშაობა შეაფასეს დღეების მიხედვით, ესე-იგი დღეში დაურიცხეს ერთი შრომადღე.

აქ იყო ასეთი შემთხვევაც: გასული წლის 25 დეკემბერს ი. გაგუაშვილმა, ვ. ანდრიაშვილმა და ა. გოგოლაშვილმა შეასრულეს შემდეგი სამუშაოები: მარანში 20 ქვევრს გადახადეს თავი და აიღეს ღვინის ნიმუში. მუკუზნის „ზაგოტზერნოს“ განყოფილებიდან 1 კილომეტრის მანძილზე გადმოზიდეს 5 ტონამდე ქერი. რადგან კოლმეურნეობას საამისო ნორმები რატომღაც არ გააჩია, მათ შრომადღეები დაურიცხეს ნამუშევარი დღეების მიხედვით.

ამ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არის ზედმეტი თანამდებობანი, რის გამო იფლანგება შრომადღეები. მაგალითად, მონტიორს ყავს თავისი მოლარე-ინკასატორი ე. არჩილოვი, რომელიც მხოლოდ საკოლმეურნეო ოჯახებიდან იღებს ელექტრონის სინათლის გადასახადს და მას თვეში უწერენ 15 შრომადღეს. ნუთუ ამ საქმის შესრულება არ შეუძლია კოლმეურნეობის მოლარეს?

ერთი ფაქტიც. კოლმეურნეობაში, სადაც 6 ბრიგადაა, 1948 წლის 1 იანვრიდან 15 აგვისტომდე არც ერთი ბრიგადის ხელმძღვანელისთვის რატომღაც არ დაურიცხავთ შრომადღეები ბრიგადის ხელმძღვანელობისთვის. გარდა ამისა, ადგილი აქვს პროდუქტების გაცემას ისე, რომ განკარგულებას ხელს არ აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესებით კი კოლმეურნეობის მოინაგრეშვილ არტელის სახსრების ერთპიროვნულად გამგებლობის, ავანსების გაცემისა და ნატურალური ფონდების ხარჯვის უფლება არა აქვს. კოლმეურნეთა ანგარიშსწორების წელში დღემდე შრომადღეები შეტანილი არ არის თვეების მიხედვით. ეს იმის შედეგია, რომ ამ კოლმეურნეობაში სუსტად არის დაყენებული სარევიზიო კომისიის მუშაობა (თავმჯდომარე ვ. ანდრიაშვილი). შარშან მხოლოდ ერთხელ ჩაუტარებიათ რევიზია, ისიც ზერეღად.

ასეთი ნაკლოვანებანი ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაშიც არის. მათი საწარფოდ გამოსწორება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოთმეკვეთ ორგანოების გადაუდებელი საქმეა.

შ. ბოგუა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

პრესის მიმოხილვა

როცა გაზეთს შეგნებულად არა აქვს თავისი მოვალეობა

„საკოლმეურნეო გზა“—საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო

რაიონულ გაზეთს მრავალი სერიოზული ამოცანა აქვს დაკისრებული. პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის პროპაგანდა მშრომელ მოსახლეობაში, ახალი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის გაზაღებული ბრძოლის ინიციატორის — პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ფართო პოპულარიზაცია, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა, ჩამორჩენის გამოსწორებისათვის ბრძოლა — გაზეთის ღვიძილ საქმეა.

სამწუხაროდ, ყველა გაზეთი კარგად როდი ასრულებს ამ დანიშნულებას. მაგალითად, გაზეთი „საკოლმეურნეო გზა“ (რედაქტორი ი. დოხნაძე) სათანადო დახმარებას ვერ უწევს რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს.

ჩვენ ხელთ არის აღნიშნული გაზეთის უკანასკნელი ოთხი თვის (სექტემბრიდან 25 დეკემბრამდე) ნომრები. სექტემბერში გაზეთს არც ერთი საქმიანი წერილი არ გამოუქვეყნებია კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების საკითხზე. მხოლოდ 2 ოქტომბერს დაბეჭდა გაზეთმა მოწინავე წერილი და გ. გონელეთის თეორიული სტატია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლის ათი წლისთავთან დაკავშირებით. მოწინავე წერილში, ისევე როგორც გ. გონელეთის სტატიაში, ლაპარაკია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე და არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, იმაზე, თუ როგორ სწავლობენ რაიონის კომუნისტები ამ გენიალურ ნაშრომს.

15 ოქტომბერს პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ამასთან დაკავშირებით გაზეთს კვლავ მოაგონდა დაებეჭდა მოწინავე წერილი და ინფორმაციული ხასიათის ერთი კორესპონდენცია. ეს იყო 16 ოქტომბერს. ამის შემდეგ გაზეთმა სრულიად მიანება თავი პარტიული განათლების საკითხების გაშუქებას და დუმილით დაამთავრა ნოემბერიც. დეკემბერში დაიბეჭდა რაიონული პარტიული კონფერენციის ანგარიში. როგორც კონფერენციისადმი მიძღვნილ მოწინავე წერილში, ისე რაიკომის მდივნის იმ ანგარიშში, რომელიც გაზეთმა დაბეჭდა, მხოლოდ ორიოდე სტატეთ. ისიც, უფიქრელად და სასნავთაშორისოდ არის მოხსენებული კომენსლტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების საკითხი.

ისეთი სერიოზული მნიშვნელობის პოლიტიკურ კამპანიას, როგორიც არის პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადება და ჩატარება, გაზეთი ძალიან სუსტად გამოეხმაურა.

ნოემბრის დასაწყისში მოწინავე წერილით გაზეთმა აუწყა მკითხველებს, რომ რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში კარგა ხანია დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ეუბნა გარეშეა, რომ უფრო ადრე დაიწყებოდა ამ კრებებისათვის მოსამზადებელი მუშაობა, მაგრამ გაზეთს 3 ნოემბრამდე ამის შესახებ არაფერი დაუწერია. არც ამის შემდეგ შეუწუხებია გაზეთს მაინც და მაინც თავი ამ საკითხის გაშუქებით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ თეთრი წყაროს რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის ამხ. ვ. ბარამიძის საინსტრუქციო ხასიათის სტატიას, 20 ნოემბრამდე გაზეთს ანგარიშვებია-არჩევნების შესახებ არაფერი უთქვამს. 20 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია საანგარიშო-საარჩევნო კრებებისადმი მიძღვნილი ორი წერილი. წერილში „კრებიდან და თვითკრიტიკის ნიშნით“ მოცემულია სოფელ საღრაშენის ორკომიტეტის სხელეობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის კრების ანგარიში. წერილი უშინაარსოა და რაც მთავარია, ამეღავნებს, რომ გაზეთი „საკოლმეურნეო გზის“ რედაქციის მუშაკები ვერ ერკვევიან პარტიული მუშაობის ელემენტარულ საკითხებში. გაზეთი პარტორგანიზაციის მუშაობის სისუსტეს ხსნის მხოლოდ იმით, რომ კომუნისტები არასაკმაოდ ეხმარებიან პარტორგანიზაციის მდივანს. წერილში არაფერია ნათქვამი, თუ რა დახმარებას უწევს თვით მდივანი კომუნისტებს და როგორ წარმართავს მათს მუშაობას.

23 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილები „ერთი საანგარიშო კრების შესახებ“ და „კრიტიკას მოვრიდნენ“ ინფორმაციული ხასიათისაა და აგტორები მხოლოდ ფაქტების აღნიშვნით კმაყოფილდებიან.

გაზეთი ძალიან სუსტად აშუქებს საგიტაციო მუშაობის საკითხებს. სარეცენზიო ნომრებში მხოლოდ ორი წერილი (თუ სათაურების მიხედვით ვიმსჯელებთ) მიეძღვნა საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხს, აქედან ერთი ძირითადად სამეურნეო საკითხებს აშუქებს.

5 ოქტომბერს გაზეთმა მოწინავე დაბეჭდა სათაურით — „პარტრაიკომის ინსტრუქტორი“. ამ წერილში ინსტრუქტორის ამოცანა არასწორად არის გაშუქებული.

„პარტიის რაიონული კომიტეტის თანავარი მეთვალყურე ადგილებზე რაიკომის ინსტრუქტორია“ — ნათქვამია სტატიის შესავალში. შემდეგ გაზეთი განაგრძობს:

„ინსტრუქტორი კი მოწოდებულია იმისათვის, რომ დაეხმაროს პარტიული ორგანიზაციის მდივანს — შეასწავლოს მას პარტიული ოქმის გაფორმების ტექნიკა“. გაზეთი ხელმეორედ ხაზგასმით აღნიშნავს რაიკომის ინსტრუქტორის, „ძირითად“ ამოცანას და დაეინებით მოითხოვს, რომ იგი მოეხმაროს მდივანს „პარტიული ოქმების (!) სათანადო გაფორმებაში“.—ეს არის რაიკომის ინსტრუქტორის მთავარი სახრუნავი საქმეო—აცხადებს გაზეთი.

ამრიგად, გაზეთი რაიკომის ინსტრუქტორს მხოლოდ მეთვალყურის როლს აკისრებს და მის მოწოდებად პარტიული კრების ოქმების გაფორმებას თვლის. ასე შეზღუდა გაზეთმა ინსტრუქტორის ამოცანა.

გაზეთში გამოქვეყნებული თითქმის ყველა მასალა ეხობრივად გაუმართავი და დაუმუშავებელია.

გაზეთ „საკოლმეურნეო გზის“ რედაქციამ დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნას მუშაობა. საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომს მართებს მეტი დახმარება გაუწიოს რედაქციას, იყოს გაზეთის ყოველდღიური საქმიანობის კურსში, მოწოდებს სიმაღლეზე დააყენოს მისი მუშაობა.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია

ისტორიულ გამარჯვებებში, რომლებსაც განუხრელად აღწევენ საბჭოთა ადამიანები, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობაში განუწყვეტლივ მეღვიძდება ბოლშევიკური პარტიის დიდი წარმართველი და დამრახმაკი ძალა.

ჩვენი პარტიის საფუძველს შეადგენენ მისი პირველადი ორგანიზაციები. ისინი შეკმნილი არიან და მოქმედებენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სამხედრო ნაწილებში. როგორც ერთიული ორგანიზაციები, ისინი აკავშირებენ მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის მასებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებთან. საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებით სამრეწველო საწარმოების, მათ შორის საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების პირველად პარტორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლება. თავისი საგიტაციო და ორგანიზატორული მუშაობით პირველადი ორგანიზაციები რაზმავენ მასებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, იბრძვიან დისციპლინის ასამაღლებლად, ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ზრდიან მშრომელებს კომუნიზმის სულისკვეთებით. პირველადი პარტორგანიზაციების უშუალო ზემოქმედებით ხდება კომუნისტების ბოლშევიკური გამოწრთობა.

პირველადი ორგანიზაციები დიდ და მრავალმხრივ იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან მასებში—ეს მუშაობა ბევრად უნდა გაძლიერდეს, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული ჩვენი წარმატებების სიმტკიცე, ეს არის ახალ მოღზეათა საწინდარი. საბჭოთა ხალხის წინაშე გრანდიოზული ამოცანები დგას. მრეწველობის მუშაკები აჩაღებენ გეგმიან ბრძოლას ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. სოფლის მეურნეობაში დაიწყო მთელი ხალხის ისტორიული ლაშქრობა გვალვის წინააღმდეგ, ბუნების გარდასაქმნელად, უხვი და მყარი მოსავლისათვის. ცხადია, რომ პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობა სავსებით უნდა შეესაბამებოდეს ამ ახალ ამოცანებს. აი ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ მოითხოვს, რომ ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა გაამეიერონ ყურადღება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი, განუწყვეტლივ გაუუმჯობესონ ხელმძღვანელობა მათ მიმართ.

ახალი ამოცანები — ახალი მოთხოვნები. ამას ეყარებიან კომუნისტები, როცა მსჯელობენ თავიანთი პარტორგანიზაციების საქმიანობაზე. ამას წინათ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ვლადიმირის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სატრაქტორო ქარხნის სამსხმელო საამქროს პარტიული ბიუროს მდივნის წერილი. ამ ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრი რამ გააკეთა საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. მაგრამ პარტორგანიზაციის მუშაობის ანლაზდეი დონე ადარ აკმაყოფილებს ქარხნის კომუნისტებს. საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე, რომლებიც ახლა ბევრ ადგილას მიმდინარეობს, კომუნისტები აყენებენ შემდეგ მოთხოვნებს: ავამაღლოთ თვითეული ორგანიზაციის ცხოვრების იდეური დონე, ავამაღლოთ პარტიის თვითეული წევრისა და კანდიდატის აქტივობა, მივაღწიოთ იმას, რომ პირველადმა ორგანიზაციამ უკეთ შეასრულოს თავისი საწესდებო ვალდებულებანი.

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან?

პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ გავადიდოთ თვითეული კომუნისტის აქტივობა, მივაღწიოთ საშეუერენო და კულტურულ მშენებლობაში თვითეული პირველადი პარტორგანიზაციის როლის ამაღლებას. ამ მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური შეგნების ამაღლება, რასაც ხელი უნდა შეუწყოს კარგად დაყენებულმა პოლიტიკურმა განათლებამ და პირველადი პარტორგანიზაციის მთელმა პრაქტიკულმა საქმიანობამ.

პარტიის წევრთა და კანდიდატთა ბოლშევიკური აღზრდის სერიოზული სკოლაა პარტიული კრებები. საჭიროა, რათა კრებებზე მაღალ იდეურ დონეზე და საქმიანად იქნას განხილული და გადაწყვეტილი პარტიული მუშაობის ძირეული საკითხები. ამავე დროს პარტიულ კრებებს ყოველთვის როდი ექცევა ჯეროვანი ყურადღება. კრებების ბომშადებასა და ჩატარებაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი გამოავლინა ამას წინათ ყაზახეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც ყოველმხრივ შეისწავლა ეს საკითხი. პარტიის ათასობით წევრმა და კანდიდატმა გამოთქვა ამაზე თავისი აზრი და წინადადება. ამის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც განსაზღვრულია პარტიული კრებების ჩატარებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ზომები.

მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ კომუნისტები ჩავაბათ არა მარტო პარტიული მუშაობის აქტუალური საკითხების განხილვაში, არამედ მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებაშიც. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ დავალებებს. შეუწყნარებელია ისეთი პრაქტიკა, როცა კომუნისტებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, წლობით არ აძლევენ არავითარ დავალებას, ხოლო თუ აძლევენ, არ ამოწმებენ მათს შესრულებას. საჭიროა მივაღწიოთ, რომ თვითეული კომუნისტი აქტიურად მონაწილეობდეს თავისი ორგანიზაციის პრაქტიკულ მუშაობაში, იხრდებოდეს და იწრთობოდეს ამ საშუშაოზე.

კომუნისტები შეჯიბრების წინამძღოლები არიან. მოწინავეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით, მათი ყოველდღიური აღზრდით, ისინი მოწოდებულნი არიან გაამრავლონ ეს გამოცდილება, იყენენ ყოველივე ახლის, მოწინავის წამიწყებანი.

არ შეიძლება გაუმჯობესებულ პირველადი ორგანიზაციების საქმიანობა, თუ საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა სერიოზულად არ მოკიდეს ხელი აქტივის — პარტორგანიზაციის მდივნების და მათი მოადგილეების, პარტჯგუფორგების, პროპაგანდისტების, აგიტატორების აღზრდას. ძირეული აქტივის იდეურ ზრდაზე ზრუნვა, მისთვის უდიდესი დახმარება პარტიული მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებაში, გაამდიდრებენ პარტორგანიზაციის სულიერ ცხოვრებას, გაზრდიან მის გავლენას მასებზე.

სამწუხაროდ, ზოგჯერ პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ სარგებლობენ ჯეროვანი ყურადღებით. მაგალითად, პენზის საოლქო კომიტეტს რომ შეესწავლა პირველადი ორგანიზაციების ცხოვრება, იგი დაინახავდა, რომ სოსნოვკობორსკის, გოლოვინშჩინის, ბელინსკისა და ოლქის ბევრი სხვა რაიონის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ამ რაიონების საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკური ცხოვრება და ორგანიზატორული საქმიანობა დაბალ დონეზე დგას. პენზის საოლქო კომიტეტი კი კმაყოფილდება საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების ცხოვრების ცალკეულ ნაკლოვანებათა რეგისტრაციით და ძალიან ნაკლებად ზრუნავს მათთვის დახმარების გაწევაზე. ეს დახმარება შეცვლილია რაიკომებისა და საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორთა სარევიზორო ჩასვლით ციფრებისა და ფაქტების შესაგროვებლად, რომლებსაც შემდეგ ინახავენ მორიგი პლენუმებისა და თათბირების მოწვევამდე.

პირველადი პარტორგანიზაციებისადმი არასწორი, ზერელე დამოკიდებულება გამოიჩინა პარტიის ბრიანსკის საოლქო კომიტეტმა. მარტო 1948 წელს მან გააუქმა 150-ზე მეტი პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ეს იმიტომ მოხდა, რომ საოლქო კომიტეტის მუშაკებმა, ისევე როგორც ზოგიერთი რაიკომის მუშაკებმა, არ მოსურვეს საქმიანად ეხელმძღვანელათ სუსტი პარტორგანიზაციებისათვის. ამავე დროს, ნამდვილი მზარდაჭერით ეს ორგანიზაციები უუჭველად განმტკიცდებოდნენ და გახდებოდნენ მებრძოლნი, რომელთაც უნარი ექნებოდათ სერიოზული გავლენა მოეხდინათ კოლმეურნეთა ცხოვრებაზე.

პირველადი პარტორგანიზაციისადმი უდარღელი დამოკიდებულება მოწმობს ადმინისტრირების ელემენტების არსებობას საოლქო კომიტეტის ან რაიკომის ხელმძღვანელ საქმიანობაში, მართლაც, პირველადი პარტორგანიზაცია ამა თუ იმ პარტიულ კომიტეტს შეიძლება დაავიწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემყარება მხოლოდ თავის რწმუნებულებს, ან მთლიანად ემყარება თავის რეზოლუციების ძალას. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ასეთი მეთოდი „ჰქმნის ხალთახეს, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თვითმოქმედი ორგანიზაციები არიან, შეიძლება გადაიქცნენ უბრალო კანცელარულ დაწესებულებებად“.

საჭიროა, რომ საოლქო კომიტეტები და რაიკომები **მთელ თავიანთ მუშაობაში ემყარებოდნენ** პირველად ორგანიზაციებს, რომ ისინი საწარმოების, კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ ძირეული პარტორგანიზაციების **მეშვეობით** და არავითარ შემთხვევაში გვერდს არ უვლიდნენ მათ. საქმე ეხება იმას, რომ თვითეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეეძლოს უნარიანად და მტკიცედ განახორციელოს პარტიისა და მთავრობის დირექტივები.

„პრავდის“ 7/I მოწინავე

ᲕᲘᲜᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲡ, ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ!

★

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲒᲖᲔᲑᲐᲜᲘ

ლენინის რაიონის საწარმოებმა წარმატებით დამთავრეს 1948 წელი და საქართველოს დედაქალაქის პარტიულ კონფერენციას სასახელო მაჩვენებლებით ხედებიან. საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შესრულებულია 117,2 პროცენტით, ზეგეგმითი დაგროვებისა და ეკონომიის თანხა 15 მილიონ 765 ათას მანეთს შეადგენს.

სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა უმეტესმა ნაწილმა გასული წლის დავალება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავისათვის შესრულა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოკტომბრი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივის წარმატება. პარტიულ-პოლიტიკური და საავიტაციო-მასობრივი მუშაობის სისტემატური გაუმჯობესებით, ტექნიკის ახალ მიღწევათა ფართოდ დანერგვითა და უსასტიკესი მომპირნეობის გატარებით დაზგათმშენებლებმა უზრუნველყვეს წლიური გეგმის 110,8 პროცენტით განაღლება, ამასთან საგრძნობლად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, მოაწყეს შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება, მასალების, ელექტროენერგიის, სათბობის ხარჯვა და შარშან სახელმწიფოს მისცეს 1.719 ათასი მანეთი დაგროვება. თავდადებული შრომის საუკეთესო მაგალითებს აძლევენ ქარხნის კომუნისტები ზენინკაია ა. ბენდიანშვილი, რომელმაც უკვე შეასრულა 8 წლის ნორმა, ი. ფირცხალავა, რომელმაც ხუთი წლის ნორმა განაღდა, ხარატებები ი. გენიშეევი, ი. უკოლოვი და სხვები. ქარხნის საპატიო დაფაზე შეტანილია ათეულობით საუკეთესო სტახანოველი.

მოწინავე საწარმოა 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. 1948 წლის გეგმა ქარხნის კოლექტივმა 109,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო ზეგეგმითი დაგროვების სახით სახელმწიფოს მისცა ერთი მილიონი მანეთი. ქარხნის საუკეთესო სტახანოველები გეგმებს ღიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ცნობილია მკუდელმა ვ. კორძაძემ უკვე 14 წლის დავალება გაანაღდა, ხარატებმა გ. გასიშვილმა და ვ. აკოფოვმა — 11 წლისა თვითეულმა და სხვ.

სართავ-სატრიოტაჟო კომბინატის კოლექტივმა წლიური დავალება 1 ნოემბრისათვის შეასრულა და სახელმწიფოს 2,5 მილიონნაზე მეტი დაუზოგა. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრეს. რაიონის პარტიული და უბანტიკი ბოლშევიკები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით და დაბპარებით წარმატებით შეასრულეს ამ ვალდებულებებს და ახალი გამარჯვებებით წარსდგებიან საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობაზე.

Ვ. ᲑᲐᲠᲑᲐᲫᲔᲕᲘ

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის მდივანი

ბებით ასრულებენ და საწვავის დიდ ეკონომიას ეწევიან. მარტო დ. ჭარასოვმ 84 ტონამდე საწვიავი დაზოგა. მეორთოქლმფლეველნი ზეგეგმითი დაგროვების სახით სახელმწიფოს 500.000 მანეთი დაუზოგეს.

ხუთწლიან გეგმის ოთხ წელიწადში ასრულებს ავალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანა, რომელმაც საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება 110,3 პროცენტით გაანაღდა, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 116 პროცენტით. ძირითადი და დამხმარე მასალების მომჭირნეობით ხარჯვისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად ქარხნის კოლექტივმა სახელმწიფოს დაუზოგა 300 ათას მანეთზე მეტი.

მოწინავეთა შორის არიან — ქარხანა „დაზგა", ჩიბის საწონი ფაბრიკა, ქარხანა „პლასტმასა", საელექტრო ღუმი, აეტომსრემონტო ქარხანა და ბრავალი სხვა, რომელთაც დიდი გადაჭარბებით შეასრულეს გასული წლის გეგმები, ბევრმა მათგანმა კი წლიური დავალება 7 ნოემბრისათვის გაანაღდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1948 წელს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა გაეკლებათ მეტი ორთქლმავალი, სახარგო და სამგზავრო ვაგონი, თბომავალი და ელმავალი მოგვეცა, ვიდრე 1947 წელს, წლიური დავალება მან მაინც ვერ შეასრულა. აქ ჯერ კიდევ სუსტად თბრძვიან სამჭროთა რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად, სუსტად თბრძვიან მუშათა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ქარხნის პარტიულმა, სამეურნეო, კომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრან ჩამორჩენა. სპეციალი პარტიულ-პოლიტიკური და საავიტაციო-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაძლიერება, ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების უფრო გაბედულად დაწინაურება, საწარმოო-ტექნიკური სწავლების ხარისხის მკვეთრად ამაღლება, მთელი კოლექტივის ერთსულოვანი დარაზმა სახელმწიფო გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის.

ქარხნის შესანიშნაი ადამიანები ჰყავს. სტახანოველი შრომის ასზე მეტმა ოსტატმა უკვე გაანაღდა ხუთწლიდის დავალება და ახლა შემდგომი წლების ანგარიშში მუშაობენ. მკუდლებმა კ. ილურიძემ და ვ. გამზუაშვილმა, ზენინკალმა ა. უსანეთაშვილმა რვა-რვა წლის გეგმა გაანაღდეს. შემდეგებელმა ს. ცარცაძემ — შვიდი წლისა, მექვანე ს. დალეოსკიმ — ათი წლისა და სხვ. მათი მუშაობის გამოცდილების გამოყენებით ქარხნის ხელმძღვანელობამ და სპეციალისტებმა უნდა მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, რენტაბელურად მუშაობას.

ლენინის რაიონის პარტიული ორგანიზაციების სამრეთლო ამოცანაა კიდევ უფრო გაღიმკობესონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ყველა საწარმოში, საამქროებში, ცეხებში, მიაღწიონ საწარმოო დავალებათა ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

ჩვენი რაიონის საწარმოებმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად სეხო�eული ვალდებულებები იკისრეს. რაიონის პარტიული და უბანტიკი ბოლშევიკები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით და დაბპარებით წარმატებით შეასრულებენ ამ ვალდებულებებს და ახალი გამარჯვებებით წარსდგებიან საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობაზე.





მშვენიერდება და ლამაზდება საქართველოს დედაქალაქი, კეთილმოწყობილი ხდება ქუჩები, შენდება ახალი შენობები, პარკები და მოედნები. ხაზარაზე: ზემოდან ქვემოთ— სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის პავილიონი, ბარათაშვილის ქუჩის ხედი.
ფოტო ვ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

წლები ჭაღარად ეეფინებიან,
ბრწყინდები, მაგრამ როდი
ძველდები,
მტკვარს რომ ერტყმიან ჯვრებირებია,
თუ ლანგთემურის რკინის ჩელტები!
რამ მომაგონა! ვის ახსოვს ახლა
შენი ქუჩების დამდეულებელი!
ბევრჯერ აგიღეს, დაგატყდნენ
ცეცხლად
და მაინც დარჩი აუღებელი.
შენთვის განწირულთ, შენით
ამაკუბს
ნეტავ სიახლე შენი აჩვენა.
ვინც დღეს გაშენებს, ვინც დღეს
გამაღლებს,
დღეგრძელი იყოს მისი მარჯვენა!
ჩვენო თბილისო, ჩვენო დედაო,
მოგშუშებია ძველი წყლულები,
შენს ერთგულებას ვინ შეგვედაოს,
შენს დიდებას ვინ შეფიცულები.
არ უნახავხართ ასე უსანდო,
წარსულში მუდამ კაშნიანი,
შენს ოცნებაში ახლო, სულ ახლო
გაიქვთ სამგორის ბალებს შრიალი.
შენ ვეღარავინ აგაწოლკებს
ცეცხლით, ნგრევით და საშინელებით,
შენს უფოთლობით დამწვარ
ხრიოკებს
ფარჩებს აცმეენენ სტალინელები.
შენთვის დაცემულთ, შენით ამაყებს
ნეტავ სიახლე შენი აჩვენა:
ვინც დღეს გაშენებს, ვინც დღეს
გამაღლებს,
დღეგრძელი იყოს მისი მარჯვენა!

★

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

თბილისის გეგმაში მკაფიო შესწორებანი შეიტანა დიდმა ქართველმა, ქუჩებს განი მისცა, შენობებს — სიმაღლე, ბაღებს — სილამაზე; მთებზე მწვანე ხეივნები დაგეგმა, მტკვარზე — ხიდები, ბაღებში და მოედნებზე — მონუმენტები და შადრევნები, ქუჩებში — ყვავილნარები და გაზონები... და, როგორც თბილისის მომღერალი იოსებ გრიმაშვილი ამბობს,

აქ, სადაც წინათ იყო ფარდული
და ჯიხურების ბნელი ხუხული,
დღეს მზის ჯიღები ცაფიღმართული,
ოქროს თბილისზე გადმოხერული.

ვინ არ ყოფილა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ვის არ გადმოუხედია მარმარილოსა და გრანიტის სამსართულიანი შენობის მრავალთაღიანი და განიერი ივენტებიდან, ვის არ უნახავს შემოღამება მთაწმინდაზე, როცა მტკვრის ორივე ნაპირებზე დაბანაკებულ თბილისის ქუჩებს რიგრიგობით აედევნებიან ზაჰესისა და ხრამჰესის ნაპერწკლები და გგონია:

შენს წინ თითქოს ქალაქი კი არ არის,
ვარსკვლავებით მოკაშკაშებული ცაა,
ზეციდან ქვემოთ ჩამოტანილი.

პატარა ქალაქი როდია თბილისი, მაგრამ დღისით მთაწმინდიდან ისე მოჩანს, გეგონება ნიჭიერი არქიტექტორის მიერ შესრულებული მაკეტი იყოს, მწვანეზე ლაღად გადაწოლილი მაკეტი.

... მთავარი ქუჩა — რუსთაველის პროსპექტი, დედაქალაქის სიამაყე... მისი ხეივნები... მარადმწვანე ხეები და ბუჩქები, შენობები, ერთმანეთზე ულამაზესი შენობები... ყველა მოგწონს, მაგრამ თვალი მაინც ვერ შორდება მარქსენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობას, სტალინური ეპოქის ამ ღირსშესანიშნავ ძეგლს.

... დედაქალაქის ცენტრი — ბერიას სახელობის მოედანი, შვიდი მთავარი ქუჩის სათავე. ამ მოედნიდან თბილისის ყველა კუთხისაკენ მიემართებიან: რუსთაველის პროსპექტი, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე პუშკინის, სერგეი კიროვის, ლადო კეცხოველის, კონსტანტინე ლესელიძის მწვანე ნარგავებით დამშვენებული ფართო ქუჩები.

...თბილისის მესაიდუმლე მტკვარი, მრავალ დროების მოწამე დედამიწისაგან საქართველოსი. მისი მარჯვენა მხარე, ბელადის სახელობის სანაპირო, რომელიც თავისი სილამაზით ჭეშმარიტად ღირსია ატაროს ეს საპატიო სახელი.

მარცხენა მხარე?!

ჰკითხეთ თვითონ მტკვარს, თუ მის გულმკერდში რას დაეძებენ ბელტიოლაბი მანქანები, რატომ ამოთხარეს ადამიანებმა 49 ათასი კუბური მეტრი მიწა და რატომ ჩაყარეს 38 ათასზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი ფუძემაგარი კედლებისათვის.

ეს მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობაა. ულამაზესი იქნება იგი თავისი ბაღებით, ჩასასვლელი კიბეებითა და ტერასებად გალაგებული გზებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამ სანაპიროს არქიტექტურულ გაფორმებას. მის გაყოლებით აშენდება ახალი ლამაზფასადებიანი შენობები.

წელს უნდა დამთავრდეს მტკვრის მარცხენა სანაპირო ქუჩის მშენებლობა ვერის ხიდიდან ბარათაშვილის ხიდამდე. ეს დიდი საქმეა. ზამთრის თვეები ყველაზე ძვირფასი დროა მტკვრის დასამორჩილებლად. გაზაფხულზე, როდესაც თოვლი დნობას დაიწყებს, მტკვარიც მატულობს და შეიძლება შეაფერხოს ბეტონის კედლების ამოყვანა. ამიტომ მუშაობენ დღედაღამ, მთელი ენერგიითა და შესაძლებლობით სანაპირო ქუჩის მშენებლობა.

...პლუსანოვის პროსპექტი. ორივე მხარეზე ჩამწკრივებული ჭაღრებით... ახალი მოედანი, ომისშემდგომი ხუთწლედის პირმშო, მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობები...

...ქუჩები, ასფალტირებული ქუჩები, ფართო ლიანდაგიანი ტრამვაის ხაზები, ტროლეიბუსები, ავტობანქანები. უამრავი ახალი საწარმოები, სკოლები, ბავშვთა ბაღები, საბავშვო ბაგები, თეატრები, კლუბები...

საბჭოს ქუჩა ერთ-ერთი დიდი ქუჩაა თბილისში. მისი კეთილმოწყობა შეუძლებელი იყო, თუ ნიაღვრის საწინააღმდეგო ღონისძიება არ გატარდებოდა. ეს სამუშაო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო. შარშან ამოღებულ იქნა 21 ათასი კუბური მეტრი მიწა და ჩაიწყო 8 ათასი კუბური მეტრი ბეტონი. მშენებლობა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დამთავრდება. მაშინ საბჭოს ქუჩა დაუბრკოლებლად მიიღებს მოსაზღვარე ქუჩებიდან მოვარდნილ ნიაღვარს და სრულიად თავისუფლად გაატარებს სპეციალურ გვირაბში.

ვის შეუძლია ჩამოთვალოს თბილისის ყველა სიახლე, რომელ უბანს, ქუჩას, ბაღსა და სასწს არ ეტყობა საბჭოთა ადამიანის მზრუნველი ხელი... განა ახალი თბილისის სიამაყენი არ არიან ჩელუსკინელთა ხიდი, ბალნეოლოგიური კურორტი, კომკავშირის ხეივანი, ბარათაშვილის ქუჩა და ალმართი, ლენინისა და 26 კომისრის რაიონები და მათი საწარმოები!..

დიდი ქართველის დაწყებულ საქმეს სასახელოდ აგიარგენენენ ქართველი ბოლშევიკები. „ჩვენ უნდა მივადწიოთ იმას, — თქვა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა ჯერ კიდევ 1944 წელს,—რომ თბილისის თვითეული მცხოვრები იყოს თავისი მშვენიერი ქალაქის პატრიოტი და აქტიური მონაწილეობას იღებდეს მის კეთილმოწყობაში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენში სიამაყის გრძნობას იწვევდეს თვითეული ქუჩა, თვითეული კვარტალი ჩვენი თბილისისა, იმ ქალაქისა, რომელსაც ესოდენ დიდი შრომა და ენერგია მოახმარა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ, ქალაქისა, სადაც აღიზარდა და ბოლშევიკურ პარტიულ ორგანიზაციას საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა ბელადმა და მხედართმთავარმა ამხანაგმა **სტალინმა**".

იზრდება, ფართოვდება, მშვენიერდება ჩვენი თბილისი!

Ბ. ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ

დედასავით საყვარელი, ერთადერთი შვილივით სანუკვარი, უძვირფასესი ყველა ადგილთა შორის არის თბილისი.

და როდესაც სხვაგან ხანგრძლივად წასული თბილისელი უკან ბრუნდება, შორიდან შეაჭიხვინეს, როგორც შუქურას, მთაწმინდას, იქ ალმართულ თეთრ ჰაეროვან შენობას, სიამით აუძგერდება გული, ბაგეს მოსწყდება თბილი სიტყვები:

— ჩემი თბილისი!

საქართველოს გული და ტვინია, მისი თავისუფლების, ხსოვნაშლილი შემოქმედებითი შრომის მეღორშია თბილისი. ყოველივე, რაც განსაკუთრებით ძვირფასია ქართველი შრომელისათვის, ყოველივე, რაც მისთვის საუკეთესოა, თბილისშია. აქედან, როგორც გიგანტური კონდენსატორიდან გაბმულია უზარაკი ძაფები რესპუბლიკის ყოველი კუთხისა, ყოველი ქალაქისა და სოფლისაკენ და იციის ამ კონდენსატორმა, სად რა კეთდება, სად რა შენდება, სად არის საჭირო დახმარება, წახალისება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით მოჰკვეთულმა, ლენინტალინის პარტიის ბრძნული მოღვაწეობით განმტკიცებულმა თავისუფლებამ, საბჭოთა ადამიანების დევგმირულმა შრომამ განაახლა, ააღორძინა და ასე მძლავრად შეგვაყარა თბილისი.

ვამაყობთ თბილისით, ამაყობს თბილისიც თავის მოწონავე შვილებით, თავის აღმშენებლებით, სახელოვანი თბილისელებით.

ვინ არიან ისინი?

ერთი სახელი, დიდი სახელი ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მოწაფისა, მის ბრძნელ მითითებათა განუხრელად განმხორციელებლისა, ახალი თბილისის მშენებელისა საშვილიშვილოდ ამოქარგა ჩვენი დედაქალაქის დროშაზე, როგორც შეუხლეტელი წინსვლისა და განახლების ემბლემა:

ლავრენტი ბერია.

ათასობით ჰყავს ჩვენს დედაქალაქს სახელოვანი ადამიანი. დავასახელოთ ზოგი მათგანი.

დნეპროპეტროვსკიდან ამას წინათ თბილისში კაცი ჩამოვიდა და ამბავი ჩამოიტანა:

— ლიბკენეტის სახელობის მეტალურგიული ქარხანა ნაწილობრივ აღადგინეთ და ავამუშავეთ. დიდად გვასახელეს თბილისურმა დაზგებმა, საუკეხოონი აღმოჩნდნენ, ბევრად უკეთესნი, ვიდრე ამერიკული დაზგები. უკრაინელმა მეტალურგებმა დამბაღეს მადლობა გადაეცე ამ დაზგათა ოსტატებს და თან თხოვნა დავუთხოვ—დაიჭარონ ჩვენთვის კიდევ ათიოდე ასეთი დაზგის დამზადება!

თბილისელებმა დაზგებმა შორს გაიტაცეს ჩვენი ქალაქის სახელი.

შარშან თბილისში, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანაში შეუდგნენ სრულიად ახალი, მეტად რთული და გონებამახვილური დაზგების — მილსაჭრელი ავტომატების კეთებას. ეს ახალი საქმეა საერთოდ დაზგათმშენებლობაში და პირველად ასეთი დაზგების ათვისებას თბილისში შეუდგნენ. ჩვენს მეტალურგიას ეს დაზგები დიდი რაოდენობით სჭირდება და თბილისელ დაზგათმშენებლებს ნაკისრი აქვთ მათი წარმოება ისე განავითარონ, რომ მოლიანად დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნილება.

ალექსი ქაშიაშვილი ერთი იმ თბილისელთაგანია, რომელიც ამ გაუჭოლესებული უახლესი დაზგების ოსტატებს ხელმძღვანელობს. ამავე ქარხანაში ბევრი სხვა სახელოვანი თბილისელიც მუშაობს — ამწყობი ზენინკალი არტემ ბენდიანშვილი, ლითონმბურღავი სალმე ალავერდაშვილი. ხარატი ივანე პეტროიევი, ლითონმხეხავი ტატიანა ვდოვინა, ზენინკალი ივანე ფირცხალავა, მჭედელი პანტელეიმონ ლეგანსაკი და სხვები.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამზადებულ საფეიერო ძანქანებს ჩვენი დიდი სამშობლოს მრავალ კუთხეში მიაქვთ თბილისელ მანქანათმშენებელთა სახელოვანი შრომის ამბავი. მჭედელ ვასილ კორძაძის მარჯვენამ გამოჭედა ამ მანქანათა ნაწილები, ხარატმა გიორგი გასიშვილმა და მისმა ამხანაგებმა გაჩარხეს თვითეული დეტალი, გიორგი ყველაშვილმა და მისმა ამხანაგებმა აწყეს ეს რთული აღნაგობის საქმოვი დადგმულობანი.

როცა მატარებელი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიქრის, ღამეა თუ სიცივეა, ღღეა თუ თბილი ამინდი, დეე იცოდეს მგზავრმა, რომ ბორბლები, რომლებსაც ეაგონნვეგმ რელსებზე სრიალისას სმენის მომქანცველი ტაკატუკი გაიქვთ, კოსტა ილურიძის, ვლადიმერ გამეხეაშვილის და მათთან ერთად მომუშავე მჭედლების გაჭედილია. არ გატყდება ღერძი, არ უღალატებს ბორბალი ვაგონს, ერთგულად ნაჭედ დეტალებს იძლევიან აქაური მჭედლები და ამიტომაა, რომ მათ სახელს პატივისცემით იხსენიებენ მთელ რესპუბლიკაში.

მაღაზიებში ნაირ-ნაირი საუცხოო ქსოვილები იყიდება. იკითხეთ, რომელია თბილისის საფეიერო ფაბრიკებში ნაქსოვი და გიპასუხებენ—აქ წარმოდგენილ ქსოვილთა უმეტესობაო. ყველა მომზმარებელმა როდი იცის რამდენი შრომა, ენერგია და ცოდნა უნდოდა ამ ქსოვილთა დამზადებას, რამდენი საწარმოს კოოპერირებული მუშაობის შედეგადაა მაღაზიის თაროებზე დაწყობილი ეს ლამაზი ქსოვილი. გინდ წმინდა ზალისა იყოს, გინდ აბრეშუმისა, ქსოვილის დასამზადებლად უთუოდ საჭიროა ბამბის ძაფი მატნაკლები როდესმი. მაგრამ ეს ძაფი ფაქიზი უნდა იყოს, ლამაზი, წვრილი და ამავე დროს მაგარი. ასეთ ძაფს რთავენ თბილისის ბამბის ძაფსართავ ფაბრიკაში, და ამ საქმეს ინჟინერი ე. ბუაძე ხელმძღვანელობს. რას გააწყობდა მარტო ინჟინერი, რომ მას არ ჰყავდეს უაღრესად დაოსტატებულ, მაღალკვალიფიციურ მრთველთა კოლექტივი? მარშან დიდი მუშაობა გასწიეს ამ ფაბრიკის ხელახლა შეაღიარებლად ახალი კონსტრუქციის გაუმჯობესებელი მანქანებით. ეს მანქანები შესანიშნავი ხარისხისა და უმაღლესი ნომრების ძაფს იძლევიან, მაგრამ მათს ასამუშავებლად საჭირო იყო ახალი ტექნიკის ათვისება. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელა თავი კომკავშირელმა მრთველმა ნინო კობესაშვილმა. მას გვერდში ამოუდგა ეთერ სისოევა. ორივემ სხვებიც აიყოლიეს და ფეიერბის გული საუკეთესო ხარისხის მისაქსელი ძაფის მიწოდებით გაახარეს.

ვინ არის თბილისელთაგან საუკეთესო ქსოველი? ისინი ბევრნი არიან. აბრეშუმის ქსოვაში ელენე ფრთაშვილი და მასთან მთელი არმიაა, მაუდის ქსოვაში ლუდმილა ასათიანი, მაყვალა ბარათაშვილი და მთელი ჯგუფი სხვა მქსოველებისაა. აბრეშუმის მოდურად მოჩითული საკაბეები, მშვენიერი ბარეგნობისა და ხარისხის საკოსტუმე შალები რომ ამშვენებენ ადამიანთა ჩაცმულობას, ეს ამ სახელოვან ადამიანთა ნაყოფიერი შრომის შედეგი, მათი დაკვირვებული, ერთგული, ბეჯითი მუშაობის ნაყოფია.

საქართველოზე — მშვენიერი ღვინის სამშობლოზე რომ არაფერი ეთქვათ, მოლდაველთის, ყირიმის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მევენახეთა ერთ-ერთი ამ ასობრივად სარგებლობენ თბილისში დამზადებული სხვადასხვა მანქანა-დანადგარებით — წნეხებით, ეგრა-პომპებით, სატუმბავი მანქანებით. ყოველ მანქანას, ყოველ დანადგარს თან ამშვენებს მიკრული თეორი ლითონის ფირფიტა: „თბილისი, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა". ამ მანქანების საუკეთესო ოსტატები არიან მოგრავი ლევან გოკესაძე, ზეინკალი შალვა ომანიძე, ხარატი ევგენი გორა და მრავალი სხვანი.

საქონლის სიუხვე შესამჩნევი გახდა, მაგრამ სამშობლო კიდევ მეტს მოითხოვს. უნდა მოვაზღვაოთ ყველა ის სიკეთენი, რაც ადამიანის ცხოვრების აამაღლებს, ხოლო ამას მით უფრო ადვილ ეიგიღწევთ, რაც უფრო ფართოდ, უფრო გაბალიად დავიერეგავთ, კერძოდ თბილისის მრეწველობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს.

თბილისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მრავალი თეორული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტია. აქაც თბილისელები მუშაობენ, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებს სწავლობენ, წარმატებას აღწევენ და დედაქალაქის სახელს ახალი მეგვარეობასაც მიაქანებენ.

ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში დაამუშავეს სანტერესო და უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანა — როგორ მივიღოთ და ხარისხობრივად გავაუმჯობესოთ ადგილობრივი ნედლეულისაგან გამოდნობილი თუჯი, რა სპეციფიკური თვისებებისა იქნება ქართული თუჯი. ეს საკითხი შეისწავლა სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი გ. გედევანიშვილი და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ფ. თავაძე ხელმძღვანელობდნენ. ახლა სპეციალისტთა ეს ჯგუფი ამზადებს საკითხის შესწავლის შედეგად მიღებულ პრაქტიკული ხასიათის წინადადებებს.

თბილისის სამშენებლო საქმის ინსტიტუტში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის კ. ზავრიევის ხელმძღვანელობით დაამუშავეს „ნაგებობათა გაანგარიშების თეორია ზოვრული მდგომარეობის მიხედვით". ეს თეორია საამშენებლო საქმეში ახალ სიტყვას წარმოადგენს და მან დიდი გამოხმაურება პოვა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, სადაც ფაქტიური მდგომარეობით იძულებული, უხალისოდ აღიარებენ ამ საქმეში ჩვენი მეცნიერების პრიორიტეტს.

ქიმიის ინსტიტუტში ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ხიკოლაიშვილმა მაღალხარისხოვან შენადნობთა ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე მუშაობისას სიახლე შეიტანა საბჭოთა ტექნიკურ მეცნიერებაში. მან მოახერხა მაგნიუმი აირად ფაზაში გადაეყვანა და შეუღგა ასეთ მდგომარეობაში მისი კრისტალიზაციის საკითხის შესწავლას. მაგნიუმი ადვილად ითვისებს ჟანგბადს და ამიტომ მისი კრისტალიზაცია დაუეანგავად სანძელო გახდა. მაშინ ნ. ხიკოლაიშვილმა გადაკეთა ლითონსადნობი დანადგარი, სადაც შესაძლო იყო მაგნიუმის კრისტალიზაცია დაუჟანგავად. ასეც მოხდა. მან მიიღო მაგნიუმის კრისტალები, რომლებიც ნაირფერფერად გამოსხივებას იძლევიან. ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის ამ მიღწევამ მაღალი შეფასება მიიღო, ხოლო მის მიერ მიღებულ კრისტალებს მიეკუთვნა „ლითონ-ნათურას" სახელი. „ლითონ-ნათურა" ახალი რამაა, არც ერთ ლითონს არ ჰგავს. იგი წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული დარბაზების მდიდრულად გაფორმებისათვის, სალუმინაციო, სალუსტრაციო და საიუველირო საქმეში.

ბევრი სხვა დიდი, მნიშვნელოვანი საქმე კეთდება თბილისში. ამ საქმეებში მოიპოვა ჩვენმა ქალაქმა სახელი 16 მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის დიად ოჯახში. ეს სახელი თბილისს შესძინეს მისმა საყვარელი შვილებმა — სტახანოველმა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მეცნიერმა მუშაკებმა.

მომავალი მეტ ბრწყინვალებას უქადის ჩვენს დედაქალაქს. უფრო გაიზრდება, გაძლიერდება, დამშვენდება თბილისი, რადგან მას თავს დანათის დიადი, ძლევამოსილი დროშა ლენინ-სტალინის პარტიისა, გზას უნათებს ბრწყინვალე შუქი კაცობრიობის გენიოსის სიბრძნისა, ჩვენი ბელადისა, ჩვენი შშობლიური სტალინისა.

ამიტომაა დედასავით საყვარელი, ერთადერთი შვილივით სანუკვარი თბილისი.

** Დ. ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ**

სტეფანე ოსიპის-ძე მაკაროვი

(დაბადებიდან 100 წლისთავის გამო.)

სტეფანე ოსიპის-ძე მაკაროვის—გამოჩენილი ფლოტის სარდლისა და მეცნიერის ცხოვრება და მოღვაწეობა მიმდინარეობდა ორი ეპოქის—სპიოლნი ფლოტის დასასრულისა და ორთქლის ფლოტის დასაწყისის მიჯნაზე.

ს. ო. მაკაროვი ხალხიდან გამოვიდა. მხოლოდ შესანშნავმა ნიჭმა, დიდმა ენერგიამ და სიმტკიცემ მისცეს მას შესაძლებლობა გაეტარებინა შავი ფლოტის რუტინის კედელი და გამხდარიყო ფლოტის ერთ-ერთი დიდი სარდალი.

1877-78 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დროს ს. ო. მაკაროვმა გამოიჩინა მებრძოლი ოფიცრის ბრწყინვალე თვისებები. ომამდე ერთი წლით ადრე მან წამოაყენა ახალი ტაქტიკური ხერხი—ნაღმებით შეიარაღებული ორთქლის კატარღების გამოყენება მტრის ხომალდების წინააღმდეგ. ამ შესანიშნავმა გამოგონებამ გაამართლა თავისი დანიშნულება ომის დროს. ლეიტენანტმა ნაკაროვმა ჩვეულებრივი სამგზაურო გემი გადააქცია მრისხანე სამხედრო ხომალდად და თავისი კატარღებით სეროიზული ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს. სპრძოლეთ გმირობისათვის **1877** წელს მაკაროვმა მიიღო მთელი რიგი ჯილდოები, მიეცა კაპიტან-ლეიტენანტის, ხოლო შემდეგ მეორე რანგის კაპიტის ხარისხი.

ომის დამთავრების შემდეგ ს. ო. მაკაროვი დანიშნეს გემ „ტამანის“ მეთაურად, რომელიც კონსტანტინოპოლში იდგა. აქ მან მოიპოვა გამოჩენილი ბერძენ-ჰიდროლოგის სიყვარული. მან შეისწავლა სხვადასხვა სიმკვრივის წყლის ორი ფუზის შემაერთებელი სრტის ღინების საკითხი, ამავე დროს ინგლისელი ჰიდროგრაფის სარატის ნაშრომი ვერ აკმაყოფილებდა რუსი მეზღვაურის დიდ მოთხოვნებს. იგი დამოუკიდებლად შეუფლა ამოცანის გადაწყვეტას. მას მოუხდა არა მარტო შეესწავლა მისთვის ახალი საქმე, არამედ გაეუძღოლებინა არსებული ხელსაწყოებიც. საკითხის დაყენება და გადაწყვეტის ხერხები გამოიჩარეოდა დიდი სამარტივითა და ორიგინალობით. აქ გამომჟღავნდა მკვლევარის შემოქმედებითი ნიჭი.

ს. ო. მაკაროვის მეთაურობით კორვეტ „ვიტიაზის“ დედამიწის გარშემო ჩვეულებრივი ნაოსნობა გადაიქცა სამეცნიერო ექსპედიციად, რომელმაც გაკეთებინა უფრო ძვირფასი შედეგები მოიტანა, ვიდრე სპეციალურად მოწყობილმა ექსპედიციებმა. მისი თხზულება „ვიტიაზი“ და „წუნარი ოკეანე“ გამოიცა რუსულ და ფრანგულ ენებზე და ფართოდ გახდა ცნობილი რუსეთში და საზღვარგარეთ.

საზღვაო არტილერიის მთავარი ინსპექტორის პოსტზეც მაკაროვმა გამოიჩინა მჩქეფარე ენერგია. მან გამოამეცადინა იმერეთინდელი არტილერიის ნაკლოვანებანი და დასახა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. მას ეკუთვნის სპეციალური სარკველთა ძვირფასი გამოგონება, რომლებიც ადიდებენ ყუმბარის ჯავშნანგამტარ ძალას. დიდი მნიშვნელობა აქვს აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მაშინ მაკაროვს ნათლად ქონდა წარმოდგენილი საზღვაო და სახმელეთო არტილერიის ერთიერთმოქმედების საჭიროება. მისი ინიციატივით შემოღებულ იქნა ერთიერთ წარმომდგენლობა საზღვაო და სახმელეთო არტილერიის მოქმედების შესაერთებლად.

90-იან წლებში მაკაროვმა შეიმაყენა ჩრდილოეთ პოლუსის აღმოჩენის გზები. მაკაროვის პროექტით და მისი მეთვალყურეობით შენდებოდა ყინულმჭრელი „ერმაკი“. იმ დროს მაკაროვმა წინადადება წამოაყენა, რომ ყინულმჭრელების დამპარებით ზამთრის ნავიგაციის დროს გაეტარებინათ ხომალდები ფინეთის ყურეში ბეტერბურგამდე, გამოეყენებინათ ყინულმჭრელები აღმოსავლეთ ციმბირის მდინარეების შესართავებამდე სავაჭრო ზღვაოსნობის და წუნარი ოკეანედან ატლანტის ოკეანეში ნაოსნობის გასაადვილებლად.

ს. ო. მაკაროვს ეჭვი არ ქონდა, რომ საუსტბით შესაძლებელია ისეთი სიდიდისა და სიმძლავრის ყინულმჭრელის აგება, რომელიც ყოველგვარ პოლარულ ყინულებს დაძლევეს. მაკაროვი სიძნელეს ზედავდა მხოლოდ ხერგილი ყინულების დაძლევაში და მისი აზრი დამაბეჯლად მუშობდა ამ ამოცანის გადასაწყვეტად. იმ დროს ლეტერატურაში არ იყო საკმარი ცნობები ყინულის წინააღმდეგობის შესახებ, და მაკაროვს მოუხდა ნაწილობრივ ამ ხარვეზის შევსება მისი ინიციატივით ჩატარებული ცდებით.

ყინულმჭრელი აშენდა და მან გაამართლა მასზე დამყარებული იმედები, მაგრამ მაკაროვმა ვერ მოახერხა ეფსუდიციის მოწყობა ჩრდილოეთ პოლუსზე—მეფის მთავრობის წინააღმდეგობა უფრო დაუძლეველი აღმოჩნდა, ვიდრე პოლარული ხერგილი ყინულები.

მაკაროვის მუშობა ზღვის ფიზიკური გეოგრაფიისა და ყინულჭრის საქმის დარგში მხოლოდ ნაწილი იყო მისი მოღვაწეობისა. მთავარი საგანი კი, რაზედაც დაეღალვად მუშობდა მისი გონება, იყო სამხედრო-საზღვაო საკითხი. თავისი სამსახურის პირველსავე დღეებიდან ახალგაზრდა მიჩმანმა მაკაროვმა აღმოაჩინა მაშინ შექმნილი ჯავშნოსანი ფლოტის სუსტი მხარე—რომ იგი ბრძოლა.

30 წლის მანძილზე ს. ო. მაკაროვი სწავლობდა ხომალდის გამძლეობისა და ჩაუძრაველობის

საკითხებს. იგი იყო ამ მოძღვრების მამამთავარი და ფლიმქმედი, რამაც, როგორც ცნობილია უდიდეს აყვავებას მიაღწია სამეცნიო კაკეშრში. მაკაროვმა დაგვიტოვა მთელი რიგი შესანიშნავი ნაშრომები ხომალდების ჩაუძირველობის შესახებ.

ს. ო. მაკაროვის უმნიშვნელოვანეს ნაშრომთა რიცხვს ეკუთვნის ადგილეთ მისი კაპიტალური შრომა „ზოსაზრებანი საზღვაო ტაქტიკის საკითხებზე“. ამ ნაშრომში პირველად არის აღძრული საზღვაო ბრძოლაში ხომალდებისა და მათი შეიარაღების გამოყენების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები. ხომალდების, მათი არტელერიის, სანაღმო და სატორპედო შეიარაღების საბრძოლო თვისებათა დაწერილებით გარჩევასთან ერთად, ს. ო. მაკაროვი თავის ნაშრომის უმნიშვნელოვანეს, ფა, თითქმის, უპირველეს ნაწილს უთმობს ზნეობრივი ელემენტის გავლენის ბრძოლის წარმატებაზე, სამხედრო-საზღვაო პედაგოგიკას, თვითგანათლებასა და თვითაღზრდას, ნაოსნობაში პირადი შემადგენლობის მომზადებას.

ს. ო. მაკაროვს მუერვალდ უყვარდა ფლოტი, ზედმიწევნით იცოდა სამხედრო-საზღვაო სამსახურის ყველა მხარე. იგი ნებადაფდა სიყვარულს ზღვისადმი და საკუთარი ხომალდისადმი. „ზღვაში ისე უნდა იყო, როგორც სახლში“, ამბობდა იგი. განსაკუთრებული ზრუნვით ეკიდებოდა მაკაროვი მატროსებსა და ოფიცრებს. ისინიც მას ამითვე უხდიდნენ, სულერთდნი ბილი და ზზად იყენენ გაყოლოდნენ მას ცეცხლსა და წყალში.

ზორეულ ალმოსავლეთში ფლოტის სარდლობის რამდენიმე ღღეში ს. ო. მაკაროვმა ცხადყო საზღვაო ფლოტის სარდლის ოსტატობა. პორტარტურში ჩასვლის პირველი დღიდანვე იგი უდიდესი ენერგიით შეუდგა. მუშობას. ს. ო. მაკაროვმა წესრიგზე მოიყვანა ესკადრა, განუმტკიცა მატროსებსა და ოფიცრებს თავისი იარაღის რწმენა. პორტ-არტურში ჩასვლის შესამე ღღეს იგი პირადად გავიდა ზღვაში ნაღმისნის დასახსნელად, რომელიც ბრძოლას ეწეოდა მოწინააღმდეგესთან ბრძოლის.

წინანდელი პასიური ტაქტიკა—„გაფრთხილდი და რისკი არ გასწიო“ შეიცვალა ესკადრის გადამწყვეტი მოქმედებით, რომელიც თავს არ აჩიდებს ბრძოლას, არამედ ეძებს მოწინააღმდეგესთან შეხვედრას. მაკაროვი მიდიოდა სწორი გზით, რომლის საბოლოო მიზანი იყო ესწავლებინა მტრის დამარცხება.

ს. ო. მაკაროვი გმირულად დაილუპა ფლოტის სარდლის პოსტზე 56 წლის ასაკში. ნაადრევმა დაიუპკამ ხელი შეუშალა მას მთლიანად გამოეკლინა თავისი ნიჭი. მაგრამ იგი ყოველთვის მტკიცედ და განუხრელად იცავდა არჩეულ დევიზს: „გახსოვდეს ომი“.

ს. ო. მაკაროვის საუკეთესო ძეგლია მისი ნაშრომები, რომლებიც მოწმობენ მ ზესანშნავი ადამიანის უდიდეს შრომის უნარიანობას და მიზანსწრაფვას.

ვიცე-ადმირალი პ. აბანკინი

პროფკავშირთა მოღვაწეობა ბუღგარეთში

სოფია, 6 იანვარი. (საკუთარი). მუშათა საყოველთაო პროფესიულმა კავშირმა, რომელიც ბულგარეთის 25 პროფკავშირს აერთიანებს უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაამეფინა თავისი გავლენა მრრომელთა ფართო მასებში. პროფკავშირთა ორგანიზაციის აეტორიტეტის ზრდამ გამოიწვია მის რიგებში ახალი წევრების შესვლა. გასულ წელს მუშათა საყოველთაო პროფესიულ კავშირში 128.619 წევრი იყო, ახლა კი 737.890 წევრი ითვლება.

მუშათა საყოველთაო პროფესიულმა კავშირმა თავის წევრთა შორის მოაწყო შრომითი შეჯიბრება, რომელშეც 1948 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო 300 ათასზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ. ფართოდ განვითარდა რაციონალიზატორული მოძრაობა. ყოველივე ამან ერთგვარ გავლენა მოახდინა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. 1948 წელს, 1947 წელთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გადიდდა 26,7 პროცენტით, ტრანსპორტზე—5 პროცენტით და მშენებლობაზე — 8,2 პროცენტით.

გაწეულია დიდი მუშობა მუშათა საწარმოო კვალიფიკაციის ასამაღლებლად. შარშან ამ მიზნით მუშათა საყოველთაო პროფესიულმა კავშირმა მოაწყო 380-ზე მეტი კურსები, ნაცვლად 227-ისა 1947 წელს. საწარმოო ბრიგადების ჩოდენობა საწარმოებში 3.904-დან 7.870-მდე გადიდდა.

მუშათა საყოველთაო პროფესიულმა კავშირმა შარშან მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს მიაღწია მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განცხადება

ლონდონი, 6 იანვარი. (საკუთარი). როგორც რეუტერის საგენტო პარიზიდან იუწყება, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ თავის განცხადებაში გამოთქვა „მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის სოლიდარობა ინდონეზიელი ხალხისადმი, რომელიც იბრძვის თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“.

განცხადებაში გამოთქმულია სურვილი, რომ ეშანშრობის საბჭომ დაუყოვნებელივ მიიღოს ინდონეზიის კონსულების შეფიდობიან მოგაზრებას. „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოითხოვს, რომ ინდონეზიის მუშებს დაეტრფნდეს და მათთვის გარანტირებულ იქნას პროფკავშირული თავისუფლებანი გაიერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად“.

დასავლეთის კავშირის ქვეყნების სამხედრო მინისტრთა მომავალი თათბირისათვის

ლონდონი, 6 იანვარი. (საკუთარი). როგორც რეუტერის საგენტოს მიმმიხილეთ იუწყება, „დასავლეთის კავშირის“ ქვეყნების ხუთი სამხედრო მინისტრი 14 იანვარს ბრიუსელში შეკრებენ ამისათვის, რომ „განიხილონ ერთობლივი დაგეგმვისა და უსაფრთხოების პრობლემები“.

საგანგებოს ცნობით, განხილულ იქნება შემდეგი საკითხები:

„დასავლეთის კავშირის“ ახლანდელი სამხედრო გეგმების განხილვა უფრო ვრცელი — „ჩრდილო ატლანტის პაქტის“ განხორციელების თვალსაზრისით.

ინგლისის რეკომენდაციით თვითმფრინავების მიწოდება დასავლეთის კავშირში შემავალი სხვა ქვეყნებისათვის.

ინოდიის და მატერიალური ნაწილის შემდგომი სტანდარტიზაცია.

არჩევნების საბოლოო შედეგები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. (საკუთარი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების საბოლოოდ შემოწმებულ შედეგებს. ეს შედეგები ცხადყოფენ, რომ პრეზიდენტის არჩევნებში სულ მონაწილეობას იღებდა 48.690.075 კაცი. ტრუმენმა მიიღო 24.104.130 ხმა, დიუეიმ—21.970.896; ტურმონდმა—1.169.118; ოოლესმა—1.156.883; სოციალისტური პარტიის კანდიდატმა ტომასმა—139.543 ხმა. დანარჩენი ხმები გაიყო მეორეხარისხოვანი პარტიების კანდიდატთა შორის. ამრიგად, ტრუმენმა მიიღო ყველა ხმის ნახევარზე ნაკლები.

ჯრუმენის წერილი კონგრესისადმი

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. (საკუთარი). გუშინ პრეზიდენტმა ტრუმენმა კონგრესში გამოაქვეყნა თავისი წერილი ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობის შესახებ. პრეზიდენტის წერილი უმთავრესად მიძღვნილია ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო პოლიტიკის პრობლემებისადმი და მსოლოდ მოკლედ ეხება საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ტრუმენი თავის წერილს იწყებს განცხადებით, რომ „ჩვენს ქვეყანაში კარგი მდგომარეობაა“, და შემდეგ ქება-დიდებას ასხამს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამეფებულ კაპიტალისტურ რეჟიმს და თითქოს იქ მიღწეულ აყვავებას.

მაგრამ, გადადის რა ამერიკის ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებზე, ტრუმენი იძულებულია აღიაროს, რომ ამერიკის წარმოება «ჯერ კიდევ არასაკმარდ დიდია, რათა დაკმაყოფილოს ჩვენი საჭიროებანი ხელფასის ჩვენი მინიმუმი მეტად მცირეა. წარილი საწარმოები ადგილს უთმობენ ზზარდ მონოპოლიას. ჩვენი ფერმერები ჯერ კიდევ დარწმუნებული არ არიან თავიანთ მომავალში და ერთობ ბევრს მათ შორის არ შეუძლია ისარგებლოს ჩვენი თანამედროვე ცივილიზაციის საკეთილ. ზოგიერთი ჩვენი ბუნებრივი რესურსი კვლავ იფლანგება. ჩვენ ფუნდამენტალურად ელექტროენერგია, თუმცა სახსრები ასეთი ენერგიის მისაღებად უხვად არსებობს. 5 მილიონი ოჯახი კვლავ ქოხმაჩიებში ცხოვრობს. 3 მილიონ ოჯახს საზიარო კერა აქვს. ჩვენი ჯანმრთელობის დაცვა მეტად ჩამორჩენილ სამედიცინო მეცნიერების პროგრესს. სათანადო სამედიცინო მკურნალობა ისე ძვირად ღირს, რომ ხელმიუწვდომელია ჩვენი მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობისათვის. ბევრ ადგილს სკოლები სრულიად არასაკმაო. ჩვენს დემოკრატიულ იდეალებს ხშირად ხელს უშლიან ცრურწმენა და შეუწყნარებლობა“.

ტრუმენის სიტყვით, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობას „ტანჯავს მეტისმეტად მაღალი ფასები“.

შემდეგ ტრუმენი წერილში აღიარებს, რომ შეერთებულ შტატებს „მეფრება ზეგავლენა ინფლაციის მხრივ ეკონომიკის მთელ რიგ კრიზისულ პუნქტებში. მთავრობას უნდა შეეძლოს ეფექტიანი ღონისძიებანი მიიღოს ამ საშიშ პუნქტებში“. ამიტომ იგი რჩევას იძლევა, რათა „კონგრესმა მიიღოს კანონები შემდეგ მიზნების მისაღწევად:

პირველი, გააგრძელოს რწმუნებანი სამომხმარებელო კრედიტებისადმი კონტროლის დარგში და გაიფართოოს რწმუნებანი სანაწილო კრედიტისადმი კონტროლის დარგში, აგრეთვე უზრუნველყოს სათანადო მექანიზმი მის განსახორციელებლად; მეორე, მოსცეს რწმუნებანი სასაქონლო ბირჟების მოსაწესრიგებლად, სადაც ხორციელდება სასწრაფო გარიგებანი. საეჭვო საქონელზე; მესამე, შენარჩუნებულ იქნას რწმუნებანი ექსპორტისადმი კონტროლის დარგში. ეზრუნველყოფილ იქნას სათანადო მექანიზმი მის განსახორციელებლად; მეოთხე, შენარჩუნებულ იქნას რწმუნებანი ტრანსპორტის დარგში პროორტატის მისანიშვნელად ან მოსაწესრიგებლად; მეხუთე, შემოუტანონ იქნას პროორტატების და რეგულარება ძირითადი, დეფიციტური მასალების დარგში; მეექვსე, გაფართოვდეს და განმტკიცდეს კონტროლი ბინის ქირისადმი; მეშვიდე, ეზრუნველყოფილ იქნას, რათა მუდმივი ორგანი აწუსებდეს ამ დეფიციტური საქონლის ზეგრეულ ფასს, რომელიც ძირითად გავლენას ახდენს მთავარი სახის სამრეწველო წარმოებაზე ან ფასების დონეზე, და შეზღუდულ იქნას ხელფასის გეფმარილებელი ცვლილებანი, რომელიც შეუძლოთ დაარღვიონ დაწესებული ზეგრეული ფასები; მერვე, ეზრუნველყოფილ იქნას ის საკითხის დაუყოვნებლივი შესწავლის ჩატარება, საკმაოა თუ არა ისეთი მწვავე დეფიციტური მასალების წარმოების საშუალებანი, როგორიცაა ფოლადი, და თუ ეს საჭირო გახდა, რწმუნება მიეცეს მთავრობას გაიღოს სესხები წარმოების საშუალებათა გასაფართოებლად, რათა აღმოფხვრილ იქნას ასეთი ნაკლებობა“.

„ჩვენ არ შეგვიძლია,—აცხადებს ტრუმენი,— ნება მივცეთ ჩვენს თავს უდარდელად გავაკეთო ომისშემდგომი ბუმის დინების მანამდე, სანამ კრახი არ დადგება“.

ტრუმენი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალი ამკამად 252 მილიარდ დოლარს შეადგენს, და მოუწევდეს გადადებულ იქნას გადასახადთ დაბეგვრა 4 მილიარდ დოლარია ოთოდენობით.

პრეზიდენტმა ახრი გამოსქვა ტაფტ-ჰარტლეს ანტიპაეარი კანონის წინააღმდეგ, მაგრამ განაცხადა, რომ საკრონო მუშებს აეკრძალოს გაფიცვა მათი უფლებების დასაცავად.

„საკვირო,—თქვა ტრუმენმა,—აფრძალოს გაფიცვა იურისდიკციის საკითხებზე და სრულიად გაუმართლებელი მეორადი ბოიკოტი. საკრონო ხელი შეეშალოთ ეკონომიური ზეგავლენის გამოყენებას ასეთ საკითხებზე, ანუ ეს საკითხებზე გადასაკრულად, რომლებიც წარმოსდგებიან არსებულ ხელშეკრულებათა ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ჩვენი დემოკრატიული თავისუფლებებისათვის საფრთხის შეუქმნელად, საჭროა უზრუნველყოფილ იქნას საშუალებანი გაფიცვებთ მოსაწესრიგებელად ან თავიდან ასაცილებლად მრეწველობის საარსებო მნიშვნელოვან დარგებში, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს ეხებიან“.

ტრუმენი შერჩია ამერიკის ეკონომიკის — სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, **ფასების** პრობლემის და მთელ რიგ სხვა საკითხებზე და შემდეგ აღიარა, რომ „ირსებული კანონები სოციალური უზრუნველყოფის დარგში არასაკმაო და დახმარება მეტად მცირეა. ჩვენი შუამბრძოლ ერთი მესამედი სოციალური უზრუნველყოფით არ სარგებლობს. ისინი, ვინც მოხუცებულნი ბანა, და სადაზღვევო კანონებს იღებს, საშუალოდ მხოლოდ 25 დოლარს იღებენ თვეში. ბევრ სხვას, რომელთაც მუშაობა აო შეუძლიათ შრომის უნარის დაკარგვის გამო, ქვეყნიერებიდან ამიდი ინდა ენნეი“. „გასაკვირია,—შენიშნა ტრუმენმა,—რომ ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიცაა ჩვენი ქვეყანა, ათობით მილიონი ადამიანი მოკლებულია დამაკმაყოფილებელ სამედიცინო მომსახურებას. ჩვენ არ გვაყოფნის ექიმები, საავადმყოფოები, სამედიცინო დები.

ასევე გასაკვირია, რომ მილიონობით ჩვენი ბავშვი კარგ განათლებას ვერ იღებს. მილიონობით ბავშვი მოუსვლელია გაუქიდია ქვეყ შენიბებში სწავლობს. ჩვენ არა გვყოფნის მასწავლებლები, ვინაიდან მასწავლებელთა ჯამაგირი მეტად მცირეა, რომ მოვიზიდოთ ახალი მასწავლებლები და შეეინარჩუნთ ისინი, რომლებიც ამჟამად გვყავან“.

გადადის რა საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე, ტრუმენი თავის წერილში საქმეს ისე სახავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საგარეო პოლიტიკის საფუძველს შეადგენს თითქოს მისწრაფება მშვიდობისადმი და „საერთაშორისო თანაშრომლობის პრინციპი“.

მაგრამ ტრუმენი იქვე მოითხოვს დიდ სამხედრო ასიგნებებს ამერიკის შეერთებულ შტატებში საყოველთაო სამხედრო სწავლების შემოსაღებად. წერილში აშკარად ორის აღიარებელი, რომ შემდგომშიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა განაბარაკეულებს პოლიტიკას, რაც მიმართულია მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად და სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის მოსასპობად.

„ყველა ქვეყნისათვის ამჟამად ნათელი უნდა იქნეს,— ნათქვამია წერილში,—რომ ჩვენ არ ვეისწრაფვით სტატუს-ქვოს შენარჩუნებისაკენ. არავითარი განზრახვა არა გვაქვს დაეიდგინთ წარსულის უსამართლოებანი ჩვენ მიეკისამებთან ბევრი ქვეყნის კონსტრუქციულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მათი მოქალაქეებისათვის უკეთესი ცხოვრების მოსაპოვებლად. ეკონომის ადდგენის პროგრამით, ჩვენი ეკონომიზობრური პოლიტიკით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუშობით ჩვენ დავიწყეთ იმ ეროვნულ დაბრკოლებათა ნგრევა, რომლებიც ხელს უშლიან მთელ მსოფლიოს ეკონომიურ განვითარებას და ხალხთა სოციალურ პროგრესს. ჩვენ მოგვაჩნია, რომ თუ გადაჭრით გავაკეთებთ ამ კურსს, საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპს, ბოლოს და ბოლოს, ის ქვეყნებიც კი მოიწონებენ, რომლებიც ამჟამად ცდილობენ შეასუსტონ ან ძირი გამოუთხარონ მას“. სხვანაირად რომ ვთქვათ, წერილი „გვპირდება“ „პარაშალიზაციისა“ და სხვა ქვეყნებისათვის თავისი ნების შემდგომშიც თავსმოხვევის პოლიტიკას.

მარშალის გადაადგომა

ვაშინგტონი, 7 იანვარი. (საკუთარი). პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა ტრუმენმა გამოაცხადა, რომ 20 იანვრიდან გადადგებიან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მარშალი და მისი მოადგილე ლოვეტი. ტრუმენმა განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივნად დანიშნულია სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე აჩესონი, ხოლო აჩესონის მოადგილედ — სახეიკუტო ბიუროს დირექტორი უები.

რუსეთის ჯარების მიერ სოფიის განთავისუფლების 71-ე წლისთავი

სოფია, 6 იანვარი. (საკუთარი). გუშინ დედაქალაქის სახალხო საბჭოს სხდომათა დარბაზში შედგა სამამული ფრონტისა და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა რუსეთის ჯარების მიერ ფაშისტთაგან ულისაგან სოფიის განთავისუფლების 71-ე წლისთავს.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს გადაწყვეტილება გაეგზავნის მისალმების დეპეშები საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადს ი. ბ. სტალინს, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრს გ. მ. დიმიტროვს, მარშალ ტოლბუხინსა და მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარეს გ. მ. პოპოვს

გერმანიის საოკუპაციო სფეროების საკითხისათვის

პარიზი, 6 იანვარი. (საკუთარი). ფრანს პრესის საგენტო გადმოგვცემს:

საქმესთან კარგად გაცნობილ წრეებში იუწყებიან, რომ ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გადაწყვიტეს 7 იანვარს ლონდონში განაახლონ მოლაპარაკება გერმანიის საოკუპაციო სტატუტის საკითხზე. ეს საკითხი განიხილეს ფრანგუფრტში ბერლინელებმა კლეიმ, რობერტსონმა და კენიგმა.

ბერლინი, 6 იანვარი. (საკუთარი). ადნის საგენტო გადმოგვაცემს, რომ ბონის პოლიტიკური წრეებისა ცნობებით, დასავლეთ მოკუეპირეებულ სახელმწიფოთა კავშირგამბლოების ოფიცრებმა ბერლინინეს „სპასრმენტო საბჭოს“ მოიკრიბეს კომიტეტი, რომელმაც კვლავ დაიწყო მუშაობა, რომ დასავლეთ გერმანიის „კონსტიტუციის“ შემეშავებაში შეეწყნარებელია რაიმე დაყოვნება და გაჭიანურება. ამასთან კავშირგამბლოების ოფიცრებმა ეტრიეს „სწორად გაიგონ“ რუსის შესახებ დასავლეთ სახელმწიფოთა შეთანხმების ფორმა და შინაარსი. ბონის პოლიტიკური წრეებში ამ მთითვეს განხილულან როგორც იმის ახალ დადასტურებს, რომ საოკუპაციო სტატუტი არ იძლევა დასავლეთ გერმანიის სუვერენიტეტის შენარჩუნების არაკეთილ იმედს.

იავასა და სუმატრაზე საკონსენსუსიური განაკეცი შეიქმნა

ჯაკარტა, 6 იანვარი. (საკუთარი). ყოველკვირეულ „პარატის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებეულია კუნძულ იავიდან მიღებული ცნობა, რომ „ინონესიის საოკუპაციო ხელისუფალნი იმეშვიგენენ ღონისძიებებს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ მთ განეცხადებინ ვალდი დაანაბიმრონ ყოველი ინდონეზიელი, ვინც არ იზიარებს ბონანეიის საოკუპაციო ხელისუფალთა პოლიტიკურ რწმენას. ამ მიზნით იავასა და სუმატრაზე შექმნილია საკონსენსუსიური განაკეცები“.

ჰოლანდიის ხელისუფალნი განაგრძობენ იარაღის გზავნას ინდონეზიაში

ჯაკარტა, 6 იანვარი. (საკუთარი). ბრესის ცნობებით, ჰოლანდიის ხელისუფალნი განაგრძობენ იარაღის გზავნას ინდონეზიაში. როგორც გაზეთი „დე ვაარპეიდი“ იუწყება, დღეს როტერდამიდან ინდონეზიაში გაეგზავნა ავტომატებითა და შსუბეი ზარბაზნებით დატვირთული გემი „მოჯოკერტო“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 8-I „ოტელო“ (ტრაგედია, 10 აბ. 6 წარმ.), 9-I დღისით — „ეკგენი ონეგინი“, საღამოს—„ლაურენსია“ (13 აბ. 6 წარმ., ბაბუაიანის მონაწილეობით);

რუსთაველის სახელობის—8-I „პირველი ნაბიჯი“ (13 სურ. 5 წარმ.), 9-I დღისით—„ბეგობრებ-ამხანაგებზე“, საღამოს — „პროვინციის გუბერნატორი“ (9 სურ. 5 წარმ.);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 8-I—„ბზის დაბნელება“ (5 აბ. 6 წარმ.), 9-I დღისით—„აშუღმურადი“, საღამოს—„ბაიადერა“. (6 აბ. 6 წარმ.).

თბილისის სახელმწიფო სირკი

8, 9 და 10 იანვარს

პირველი ციკლის უკანასკნელი 3 დღის პროგრამა

რუსული დამსახურებული არტისტის

კიოს

და მისი

75 ასისტენტის მონაწილეობით

დიდი ახალი საცირკო პროგრამა სამი განყოფილებით.

დასაწყისი 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება საცალოოებში: საბელმწიფო ცირკის კიბის ასაკალთან. რუსთაველის პროსპექტზე—ბაღანა „წყლები“ და პლეხანოვის პროსპექტზე—ძაღანია № 3.

ხსრ კავშირის კავშირგაბმულობის საგამომცემლო

„სიიუჟეტერაკი“

ცხადდება, რომ 1949 წლისათვის საბავშვო ჟურნალებზე:

„პიონერი“
„ლიდა“

იღელის მოწერა გრძელდება.

ხელის მოწერა მიიღება „სოიუზპიჩატის“ ყველა განყოფილებაში.

ხელის მოწერის პირობები თვითეულ ჟურნალზე: 3 თვით — 15 მან., 6 თვით—30 მან., 1 წლით— 60 მან

„სოიუზპეჩატის“ საქართველოს განყოფილება

გ. ზამბახიძე, გ. გოჩაშვილი, ე. ჩერქეზია, ვ. ლოლაძე, ა. ჯიბლაშვილი ეუწყებიან **ალექსანდრე იაკობის-ძე ეგნატაშვილის** გარდაცვალების.

გ. გოჩაშვილი, ა. ჩიტაიშვილი, ბ. კიზირია, გ. ბეკანაშვილი, შ. ბაკრაძე, ნ. ბარკალია, ბ. ბარამიძე, რ. კაკბარაია, ვ. ეპიტაშვილი, ზ. ქურდიანი, ფ. გოცირიძე, ა. დავითაანი, ნ. ციცაგი, გ. კოპახიძე, ბ. კერესელიძე, კ. ცაგარელი, ზ. ჭეშიაშვილი, ფ. ნოსელიძე, ე. ზიმერიკი, ი. დარჩია, ფ. ლუბარიძე, ი. ჯიქია, ე. შარაშენიძე, ა. კერესელიძე, ა. ბუაძე, ა. თევზაძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხანაგ ვასილ ეგნატაშვილის მისი ძმის **ალექსანდრე ეგნატაშვილის** გარდაცვალების გამო.

გიორგი და გერა ბეკანაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ვასილ ეგნატაშვილს მისი ძმის **ალექსანდრე იაკობის-ძე ეგნატაშვილის** გარდაცვალების გამო.

გორის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკის სამედიცინო პერსონალი თანაგრძნობას უცხადებს შ. ეგნატაშვილს მისი ბიძის **ალექსანდრე ეგნატაშვილის** გარდაცვალების გამო.

ვანო, ქეთი ურუმაშვილები, ქეთო, ვარლამ რობაქიძეები, ელენე, კოლია ბერძენიშვილები, პეტრე, ქეთო ამილაძეები, ალექსანდრე, ნინო ნადირაძეები, დათა ნადაშვილი ეუწყებიან **ალექსანდრე ეგნატაშვილის** გარდაცვალების.

დაუთ დავითაძე და ნესტორ ასთიანი თანაგრძნობას უცხადებენ ვასილ ეგნატაშვილს მისი ძმის **ალექსანდრეს** გარდაცვალების გამო.

ვასო ბუკიანაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილს მისი ძმის **ალექსანდრე ეგნატაშვილის** გარდაცვალების გამო.

გ. სეხნიაშვილი, მ. ციხისთავი, ა. კოკილაშვილი, ნ. მშვილაძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხანაგ ვასილ ეგნატაშვილს მისი ძმის **ალექსანდრე ეგნატაშვილის** გარდაცვალების გამო.

ნინო, ლენა, ქეთევან ეგნატაშვილები ეუწყებიან **ალექსანდრე ეგნატაშვილის** გარდაცვალებას.

ა. ჭუმბაძე, თ. მღებრიშვილი, მ. ხუხუნაშვილი, ნ. მშვილაძე, შ. გამყრელიძე, ს. ბერთაია-შვილი, გ. ყვარაცხელია, ი. ბოკერია, შ. ასათიანი, ა.კ. გოგბრონიძე თანაგ